საგარეჯო

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №10(48) 2013 წ. 16-31 მაისი ფასი 50 თეთრი

26 მაისი – დამოუკიდებლობის დღე

მინა – ჩვენი საპატრონებელი

26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 1918 წლიდან მოყოლებული, ქართველი მამულიშვილები ყოველწლიურად ჯერ შეფარვით აღნიშნავდნენ, ჩუმად, პატარ-პატარა, ოჯახური სუფრებით, შემდეგ კი ბოლო ათწლეულში აღარავის აღარაფერი აქვს დასამალი და აკრძალული... ამ დღისთვის სპეციალურად ირთვება ქუჩები, ეწყობა კონცერტები... წელს 95-ედ აღინიშნება საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.

1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფართობი (აღიარებული ერთა ლიგის მიერ) იყო 107,6 ათასი კვადრატული კილომეტრი.დღევანდელი საქართველოს ფართობი69.7 ათასი კვადრატული კილომეტრია. საქართველომ დაკარგა 37.9 ათასი კვადრატული კილომეტრი. დღევანდელი საქართველოს საზღვრებს გარეთ მდებარე ისტორიული ტერიტორიები გადანაწილებულია შემდეგი სახელმწიფოების საზღვრებში: რუსეთი (4.4 ათასი კვადრატული კილომეტრი), აზერბაიჯანი (6.0 ათასი კვადრატული კილომეტრი), სომხეთი (4.0 ათასი კვადრატული კილომეტრი) და თურქეთი (23.5 ათასი კვადრატული კილომეტრი). ამასთან, საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქცია არ ვრცელდება თვითგამოცხადებული აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე (7.0 ათას კვადრატულ კილომეტრს დღეს აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობა აკონტროლებს, 3.0 ათას კვადრატულ კილომეტრს ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სეპარატისტული მთავრობა). ასე, რომ საქართველოს იურისდიქციაში მხოლოდ 69.7 ათასი კვადრატული კილომეტრი რჩება.

საინტერესოა მოკლე ისტორიული სვლა: ჯერ კიდევ XX საუკუნეში ქუთაისის გუბერნიაში შემავალი არტაანი, ოლთისი, სპერი, თორთომი, ართვინი რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ დადებული ხელშეკრულებით თურქეთს გადაეცა. მოგვიანებით სერგო ორჯონიკიძემ საინგილო აზერბაიჯანს გადასცა. ასე მოხვდა XV საუკუნის ქართული ეკლესია, რომელიც კახეთის ძველი დედაქალაქის – ზეგამის ტერიტორიაზე იდგა, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. ასევე დაიკარგა ქუთაისის გუბერნიაში შემავალი ჯიქეთი, სოჭი, ლორე, ვლადიკავკაზს მიუერთდა ზედა ლარსი.

ტერიტორიების გადაცემა კი მართლაც დაუდევრად ხდებოდა – ვითომ საქართველოს ხელისუფლება დროებით გადასცემდა მმართველობაში ან საძოვრებად მეზობელ ქვეყანას, მაგრამ დოკუმენტებში მითითებული არ იყო, რომელი წლიდან რომელ წლამდე. გადაცემული ტერიტორიის უკან გადმოცემა კი აღარ ხდებოდა.

დღეს კი ყოველივე ამას ემატება ადმინისტრაციული საზღვრისა და სახელმწიფო საზღვრის ერთმანეთში არევა. მოქმედი კანონის მიხედვით კი სასაზღვრო ზონად არის მიჩნეული მიწის ნაკვეთი საზღვრის ხაზიდან საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში არაუმეტეს ხუთი კილომეტრი სიგანისა. სასაზღვრო ზოლი კი არის სასაზღვრო ზონის შემადგენელი ნაწილი, რომელიც იწყება საზღვრის ხაზიდან და სიგანით ხუთას მეტრს შეადგენს. სასაზღვრო ზოლში აკრძალულია ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, მიწის მოხვნა, ან ნაგებობის აშენება.

ადმინისტრაციული საზღვრისა და სახელმწიფო საზღვრების ცნებები კი არა, აგერ, საგარეჯოს რაიონში გაჩნდა პატარა „ინდოეთი“ (ადგილობრივი მოსახლეობისგან ინდოელებისთვის შესყიდული მიწები), „ჩინეთი“ (ჩინელების მიერ შესყიდული), „არაბეთი“ (არაბების მიერ შესყიდული). ეს უკვე შუაგულ საქართველოში, კახეთში ხდება.

იქნებ გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველა, ეს ბუმბერაზი პიროვნება, რომელსაც ხმელი წიფელიდან დაწყებული ყველაფერი „ქართული“ სტკიოდა და ამ ტკივილის გასიგრძეგანება და შეგრძნება ჩვენც დაგვტოვა XXI საუკუნის ქართველებს.

„საქართველო დღეს წააგავს მსუქან დუმას. გარეშე კაცი მიეტანა ამ დუმას და ნელ-ნელა ათლის კაი-კაი ნაჭრებს... ჩვენი ტერიტორია სხვის ხელში გადადის და ჩვენ, ქართველები, არ ვეწინააღმდეგებით სასტიკად. როგორ ეკადრება ასეთი საქციელი ჩვენს კეთილშობილებას!.. დეპუტატებიც



გაჯავრდებიან, აი, თქვე შოვინისტებო, განა სულ ერთი არ არის, ვის ხელში იქნება საქართველოს ავლა-დიდება, ქართველისა თუ სხვისაო... რას სჩადიხართ, ვინ მოგცათ ნება, ერის საუნჯე – ტერიტორია საძმო საკაცობრიო ტაბლად აქციოთ და თვით ერსაც ხელი ეროვნებაზე ააღებინოთ?!“

სურათზე: 2012 წლის 26 მაისს უდაბნოში, დავითის ლავრის თავზე ცაზე გამოსახული ნინოს ჯვარი.

ბოლო ზარი

„დარჩით თავისუფლები და მიჰყევით საკუთარ ოცნებებს“...

ბოლო ზარის ზეიმზე საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლის XIIბ კლასელებს საქართველოს პარლამენტის წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან **თინათინ ხიდაშელი**, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი **გიორგი ლოლაძე** და საგარეჯოს რესურს-ცენტრის დირექტორი **მანანა ცუცქირიძე** ესწრებოდნენ. ყველა ღელავდა – მასპინძელიც – ბოლო ზარის ადრესატები, მოწვეული სტუმრები, პედაგოგები, მშობლები. სიმართლე გითხრათ, მეც, ამ წერილის ავტორი უცნაურ მღელვარებას ვგრძნობდი – 40 წლის წინ ჩემს თანაკლასელებთან ერთად,. სწორედ ამ სკოლის კედლებში განვიცადე „ბოლო ზარის“ სევდანარევი სიხარული და მე უფრო კარგად ვგრძნობდი სხვა მოწვეულ სტუმრებთან ერთად ამ წუთების სილამაზეს და სიდიადეს.

ამ დღის თანამგზავრი უამრავი კეთილი სურვილი, ბედნიერი დიმილი იყო. სკოლის კურსდამთავრებულებმა მადლობა ლექსებით, სიმღერებით, მეგობრული შარჟებით, იუმორით, დიდი სიყვარულით გადაუხადეს თავიანთ პირველ მასწავლებელს ლეილა სანთელაძეს და ყველას, ვინც ამ 12 წლის განმავლობაში მათ გვერდით იდგნენ – პედაგოგ-აღმზრდელებად, დამრიგებლებად და დამკვალიანებლებად.

სკოლის კურსდამთავრებულებს პარლამენტარმა თინათინ ხიდაშელმაც მიმართათ: – ამბობენ, ყველაზე კარგი წლები სკოლის კედლებში რჩებაო, მაგრამ მერწმუნეთ, ასე არ არის, წინ უფრო საინტერესო, საუკეთესო წლები გელით. აქამდე თითქოს ყველაფერი მარტივად იყო, მაგრამ ახლა თქვენ ხართ თქვენს თავზე პასუხისმგებლები. ყველა პროფესია საინტერესოა, მაგრამ მაშინ უფრო საინტერესოა, თუ თავისუფალი ხარ. მთავარი თავისუფლებაა, მისი ფასი არაფერი არ არის. დარჩით თავისუფალნი და მიჰყევით საკუთარ ოცნებებს.

ბოლო ზარის მონაწილეებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი ლოლაძემ, რესურს ცენტრის დირექტორმა მანანა ცუცქირიძემ, სკოლის დირექტორმა ლელა ფანოზიშვილმა, პედაგოგებმა მიულოცეს და ბედნიერი მომავალი უსურვეს.

მოწვეული სტუმრები

ბოლო ზარის სამახსოვრო

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

21 მაისი, 2013 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურის ხელმძღვანელები, ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულები ესწრებოდნენ. თათბირს ***მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე*** **ბესიკ მარტიაშვილი** უძღვებოდა.

თათბირი ადგილებზე ექმნილი მდგომარეობის შესახებ ზეპირი ინფორმაციით რწმუნებულებმა დაიწყეს. უდაბნოს მოსახლეობა კვლავ სასმელი წყლის 24 საათიანი მომარაგების საკითხის მოგვარებას ითხოვს. როგორც გაირკვა, აღნიშნული საკითხი შესწავლილია და მიმდინარეობს მისი მოგვარებაც. როგორც მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ აღნიშნა, თავად გააკონტროლებს ამ საკითხის **ბოლომდე** მოგვარებას.

ასევე სასმელი წყლის პრობლემა აქვს

ნინოწმინდის მოსახლეობას. ავარიულ მდგომარეობაშია დიდი ჩაილურის საქიმო ამბულატორია, მანავსა და კაკაბეთში „სილქნეტის“ მიერ სამუშაოების ჩატარებისას დაზიანდა სასოფლო გზები, რომელიც დღემდე უხერხულობას უქმნის მოსახლეობას და აფერხებს ავტომანქანების მოძრაობას.

თათბირზე სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარიის სამსახურის უფროსმა ჯიმშერ ოსიაშვილმა გააკეთა ინფორმაცია 1 ივნისიდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პირუტყვის თურქულზე ვაქცინაციის შესახებ და ითხოვა რწმუნებულთა მხრიდან დახმარება.

თათბირის მონაწილეებმა იმსჯელეს სხვადასხვა საკითხებზე და დასახეს გზები, საშუალებები პრობლემადქცეული საკითხების მოსაგვარებლად.

სოფლის მეურნეობა

სპეციალისტი გვირჩევს

ნიადაგის დამუშავება

თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკა ნიადაგის დამუშავების სხვადასხვა ტექნოლოგიებს იცნობს. არსებობს ტრადიციული, ინტენსიური, ნიადაგდამცავი, მინიმალური, ნულოვანი და სხვა ალტერნატიული ტექნოლოგიები.

ტრადიციული ტექნოლოგია, გულისხმობს ნიადაგის მოხვნას ფრთიანი გუთნით და ყველაზე უკეთეს შედეგს იძლევა იმ რეგიონებში, სადაც ნალექების წლიური რაოდენობა აჭარბებს 300 – 400 მმ. გუთანი შეუცვლელია ასევე ყამირი და ნასვენი ნიადაგების მოსახნავად,ხვნა გარდა ნიადაგის დამუშავებისა, უზრუნველყოფს ბელტის გადაბრუნებას, ნიადაგის გაფხვიერებას, ნაწვერალის ნარჩენებისა და სასუქების ჩაკეთებას.

ჩვენი რაიონისათვის ხვნის ტექნოლოგიური პროცესი ჯერჯერობით შეუცვლელია, რადგან მიწების დიდი რაოდენობა დაყამირებულია და დასარეველიანებულია. ამასთან უნდა აღინიშნოს რომ ნიადაგის ხვნა ხელს არ უწყობს ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებას და გაუმჯობესებას, რადგან სახნავი ფენის ხშირი გადაბრუნება და გაფხვიერება იწვევს ნიადაგის დეგრადაციას, ჰუმუსის მინერალიზაციას, ხოლო ფერდობის პირობებში, გადიდებულ ეროზიას.

თავთავიანი და სათოხნი კულტურების მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგია, გარდა ტრადიციული წესით მოხვნისა, გულისხმობს ნიადაგის თესვისწინა სპეციალურად დამუშავებას ისე, რომ ზედაპირი იყოს წვრილკოშტოვანი და კარგად მოსწორებული. ხელს უწყობს ჰერბიციდების, პესტიციდების და კულტურების თესლის თანაბარ განაწილებას, ასევე მზის რადიაციის შთანთქმის სითანაბრეს. გარდა ამისა, ინტენსიური ტექნოლოგია გულისხმობს დაპროგრამებული მოსავლის მიღებისათვის ვეგეტაციური პროცესების მართვას..

ნიადაგის დამუშავების ინტენსიური ტექნოლოგია ტრადიციულ ტექნოლოგიის ზემოთ ჩამოთვლილ ნაკლოვანებებს კიდევ უფრო აღრმავებს. სატრანსპორტო ტვირთბრუნვის გათვალისწინებით, წლის განმავლობაში მინდვრის 50 – 80% იფარება ტექნიკის სავალი სისტემის ნაკვალევით. ამასთან, ნიადაგის დატკეპვნის სიღრმე აღწევს ერთ მეტრამდე.

ნიადაგდამცავი ტექნოლოგიების დანიშნულებაა შეამციროს ტრადიციული და ინტენსიური ტექნოლოგიების უარყოფითი გავლენა კულტურების მოსავლიანობის შემცირების გარეშე. მიმდინარეობს ძიება ისეთი სამანქანო ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ არა მარტო ქარისმიერი და წყალისმიერი ეროზიების შემცირებას, არამედ მიწის ეფექტურ გამოყენებას,ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენას და გაზრდას, მისი დანაგვიანების ლიკვიდაციას და საერთოდ დარღვეული ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენას.

მიჩნეულია, რომ ფერდობებზე წყლისმიერი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის უფრო ეფექტურ საშუალებად ითვლება ზოლური დამუშავება და დაღარვა ვერტიკალური მულჩირებით, როცა ნიადაგში გაჭრილი ხვრელი ივსება სხვადასხვა სახის ორგანული მასალებით, (ნაწვერალი თივა, ფოთლები, ტორფი და ა.შ.) ასე დამუშავებული ფერდობის ზედაპირი დიდხანს ინარჩუნებს წყლის შთანთქმის უნარს.

ნიადაგის მინიმალური დამუშავების ტექნოლოგია არის ნიადაგდამცავი ტექნოლოგიის ერთ-ერთი კერძო სახე. თავისი არსით იგი არის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიური ოპერაციების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ენერგეტიკული, შრომითი და მატერიალური დანახარჯების, ასევე ნიადაგის ფიზიკურ თვისებებზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას.

ნიადაგის მინიმალური დამუშავების დროს ხდება რამდენიმე ტექნიკური ოპერაციის შეერთება ერთ სამუშაო პროცესში კომბინირებული მანქანებისა და აგრეგატების გამოყენებით. ამ დროს სათეს ფართობებზე შენარჩუნებულია წინამდებარე კულტურის ნაწვერალი და სხვა მცენარეული საფარი. ამ მეთოდით ნიადაგის დამუშავება უნდა მოხდეს ბრტყლამჭრელებით ან ღრმა გამაფხვიერებლებით, ან ისეთი მუშა ორგანოების გამოყენებით, როგორიცაა ჩიზელური გუთნები, ჩიზელური კულტივატორები. აღნიშნული ტექნოლოგიის დანერგვა ხელს შეუწყობს წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის მავნე მოქმედების აღმოფხვრას.

ნიადაგის დამულჩვით დამუშავების ტექნოლოგია გულისხმობს ნაწვერალის და სხვა მცენარეული ნარჩენების გამოყენებას, ტენის დაგროვებისა და შენახვისთვის, ხოლო კოკისპირული წვიმების დროს ნიადაგის ჩამორეცხვისა და ზედმეტი დატენიანებისგან. იგი ასუსტებს ტემპერატურის დღე-ღამური და სეზონური ცვალებადობის გავლენას, ამცირებს ნიადაგის გაყინვის სიღრმეს ზამთრობით და იცავს გადახურებისგან ზაფხულის პაპანაქება სიცხეების დროს, ხელს უწყობს მკვრივ წვრილკოშტოვანი სტრუქტურის წარმოქმნას, აძლიერებს მიკროორგანიზმების ცხოველმყოფელობას და მასთან დაკავშირებულ დადებით ბიოქიმიურ პროცესებს, ჩაგრავს სარეველებს, ახშობს მათ ამოსვლას.

ნიადაგის დამუშავების „ნულოვან” ტექნოლოგიას მეორენაირად ქიმიურ ტექნოლოგიას უწოდებენ, რადგან ამ დროს ხდება ნიადაგის მხოლოდ 25%-ის დამუშავება, ხოლო სარეველები ნადგურდება ქიმიური გზით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჰერბიციდების დიდი დოზებით გამოყენება იწვევს ნიადაგის გაჭუჭყიანებას და ზოგიერთ სარეველების შეგუებას ჰერბიციდების მიმართ.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ალტერნატიულ ტექნოლოგიას, ორგანულ-ბიოლოგიურ ან ეკოლოგიურ ტექნოლოგიასაც უწოდებენ. ალტერნატიულ ტექნოლოგიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის მექანიკურ მეთოდებს. სარეველების განადგურება იწყება მოსავლის აღებისთანავე ნაწვერალის აჩეჩვით, როცა ხდება მათი ამოსვლის პროვოცირება, ხოლო შემდეგ საოშებით და კულტივატორებით განადგურება.

კულტირების მოვლა-მოყვანის დაბაზოებისა და დაკვალვის ტექნოლოგია მოხერხებულია როგორც ზედმეტად დატენიანებული, ისე სარწყავი ზონებისთვის. ბაზოებს შორის მოთავსებული კვლები წარმოადგენენ კარგ წყალგამტარებს ზედმეტი წვიმის დროს.

ჩვენს რაიონში სადაც წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის მოქმედებით ნიადაგი ძლიერ იფიტება, ხოლო ქარსა და წყალს მიაქვს მცენარისთვის საჭირო საკვები ნივთიერებები. მეტად აქტუალურია ნიადაგის მინიმალური დამუშავების მეთოდის დანერგვა. რაიონის მთიან სოფლებში, სადაც სახნავ-სათესი ფართობების დიდი ნაწილი განლაგებულია ფერდობებზე და განიცდის წყლისმიერ ეროზიას, მიზანშეწონილია ნიადაგის ზოლური დამუშავება ვერტიკალური დაღარვით. ჩვენს რაიონში არსებული ტექნიკური მომსახურების ცენტრს შპს „მექანიზატორს” დღევანდელი მდგომარეობით გააჩნია ზოგიერთ აღნიშნული ტექნიკური საშუალებები, რისი გამოყენებაც ჩვენს ფერმერებს შეუძლიათ.

ნიკოლოზ ჯავახიშვილი,
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, აგროინჟინერიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

სოფლის მეურნეობა

სასოფლო-სამეურნეო გარათების შესახებ

საქართველოს მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის აღორძინების მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა რწმენა ჩაუნერგა და მარჩენალი მიწისკენ შემოაბრუნა ჩვენი გლეხკაცობა. წელს პირველად, გუთანმა გაიარა უსახსრობის გამო დაუმუშავებელ და დაყამირებულ ათეულობით ჰექტარ მიწაზე. სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მონაცემებით, 20 მაისისათვის მუნიციპალიტეტში დამუშავებულია 12500 ჰექტარზე მეტი ფართობი, საიდანაც 4300 ჰექტარი საშემოდგომო კულტურებს, დანარჩენი ფართობი კი საგაზაფხულო ნაკვეთებს აქვთ დათმობილი, აქედან კომბინირებული ბარათების გამოყენებით დამუშავებულია 1400 ჰექტარზე მეტი მიწა. შეგახსენებთ, რომ 20 მაისის მონაცემებით სულ მუნიციპალიტეტში მიღებულია 6350 კომბინირებული ბარათი. იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს ზოგიერთი გვალვაგამძლე საგაზაფხულო9 კულტურა, რომლებიც მოგვიანებითაც ითესება, შესაძლოა, რომ დამუშავებული ფართობების რაოდენობა რამდენიმე ასეული ჰექტარით კიდევ გაიზარდოს.

ის, რაც ქართველის სულში არ ზის

ორი კვირაა საქართველოს ტელევიზიები დილიდან საღამომდე იმ სამარცხვინო აღლუმის კადრებს ატრიალებენ, რომლითაც ე.წ. გეიაღლუმის,,ლგბტ“-თა მხარდამჭერები და ორგანიზატორები ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი, ქართული საზოგადოების რეპუტაციის შელახვას ცდილობენ დასავლეთის თვალში. ის, რაც ქართველის, მართლმადიდებლის სულში არ ზის დღიდან ქართველის გაჩენისა დედამიწაზე, დღესაც მიუღებელი რჩება. სწორედ მის „დასაცავად“ გამოვიდა ათეულობით ორგანიზაცია და ადამიანი. მაგრამ ისმის კითხვა, სად იყვნენ ისინი გასული წლის მაისში, როცა საშინელი სისასტიკით იყო დარბეული ათასობით მომიტინგე – სამართლიანობის და კანონების დასაცავად გამოსული, რომელიც ქართველს მარტო კონსტიტუციით არ ენიჭება?! საქმე ეხება სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ადამიანურობის ხელყოფას.

17 მაისის დაღამებას უმსხვერპლოდ ქართული პოლიციასა და სამღვდელოებას უნდა უმადლოდნენ აქციის ორგანიზატორები – ძნელია ქართველის სულში ჩაფურთხება და იმის პროპაგანდა, რასაც საუკუნეებია არ ცნობს ჩვენი საზოგადოება, თუმცა, ისიც შეიძლება ვთქვათ, ,,ლგბტ“-ეები ალბათ საქართველოს ისტორიასაც ახსოვს, მაგრამ სამარცხვინო და ტაბუდადებული.

მომავალ ნომერში სწორედ 17 მაისის აქციის შეფასებაში გიწვევთ, ძვირფასო მკითხველებო. მოგვწერეთ თქვენი აზრი, შეგვეხმიანეთ.

სოფლის მეურნეობა

სპეციალისტი გვირჩევს

სოფლის მეურნეობა

სწრაფად და უდანაკარგოთ ავიღოთ მარცვლეული

ქვეყნის უზრუნველყოფა მარცვლეულით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, ამიტომ მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსავლის უდანაკარგოდ და დროულად აღება-დაბინავებას.

ამ კუთხით მწავავედ დგას საკითხი ჩვენს მუნიციპალიტეტში, სადაც ზოგიერთი მოსავლის ამღები მანქანების ნორმალურ ექსპლოატაციას ხელს უშლის აგროეკონომიკური თავისებურებანი: მიწის ნაკვეთების მცირეკონტურიანობა, დამრეცი ფერდობები, გვალვიანი რაიონები, და თანამედროვე კომბაინების პარკის სიმცირე. ყველაფერი კი ერთად აღებული ხშირ შემთხვევაში განაპირობებს მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების მექანიზაციის დაბალ დონეს.

მარცვლეული კულტურების აღების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს კულტურული მცენარეების შემდეგი ძირითადი ფიზიკურ-მექანიკური და აგრობიოლოგიური თვისებები: მცენარის ორგანოების აგებულება, ღეროთდგომა, სიმაღლე და სიხშირე. ჩაწოლა, ტენიანობა, ღეროს სიმაგრე, მარცვლის და არასამარცვლე ნაწილების წონით ფარდობა, სიმწიფის ფაზა, ნათესების დასარეველიანება.

დღეისათვის მსოფლიოში მარცვლეული კულტურების აღების სამი მეთოდია გავრცელებული: პირდაპირი კომბაინირების, გაყოფითი და ინდუსტრიულ-ნაკადური ტექნოლოგიით.

პირდაპირი კომბაინირების მეთოდით აღებისას მოსავალს ერთდროულად მკიან და ლეწავენ.

ამ ხერხს ძირითადად მწიფე მარცვლის ასაღებად იყენებენ. მოსავლის აღების დაწყებისას მარცვლის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 16-18%-ს. მარცვლის ძირითადი მასა (95%) სრული სიმწიფის ფაზაში უნდა იყოს. ადრეულ ფაზაში მოსავლის აღების დაწყება იწვევს მარცვლის დიდ დანაკარგებს.

უმჯობესია პირდაპირი კომბაინირებით მოსავლის აღება, რომელიც უნდა დამთავრდეს 7-8 დღეში, რადგან შემდეგ სწრაფად იზრდება მარცვლეულის დანაკარგები.

პირდაპირი კომბაინირების მეთოდით მოსავლის აღებისას ნამჯა და ბზე უნდა დაიყაროს ღვარეულებად, დაიწყოს ბულულებად, ან დაქუცმაცდეს და მისაბმელში შეგროვდეს. ამ მეთოდით მოსავლის აღება უნდა დაიწყოს შერჩევითი ხერხით, ჯერ სამხრეთ კალთებზე განლაგებულ ნაკვეთებზე, შედარებით მსუბუქ ნიადაგებზე და შემდეგ ამაღლებულ ადგილებზე.

გაყოფითი მეთოდით მოსავლის აღება მოიცავს ორ ფაზას: I – მკა და ღვარეულებად დალაგება; 2 – ღვარეულების აკრეფა და გალეწვა. ეს მეთოდი კი არ ცვლის პირდაპირ კომბაინირებული მეთოდით მოსავლის აღებას, არამედ ავსებს მას, ამიტომ მოსავლის აღების ეს ორივე მეთოდი გონივრულად უნდა იყოს შეთანაწყობილი.

გაყოფითი მეთოდით მოსავლის აღება უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც მარცვლის ტენიანობა 36-40%-ს მიაღწევს, რადგან ამ პერიოდში მინდორში მოსავლის მაქსიმუმია და ამ მეთოდით აღების დროს ის 5-7%-ზე მეტი იქნება, ვიდრე პირდაპირი კომბაინირებით აღების დროს.. მოსავლის აღების ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს 5-7 დღით ადრე დავიწყოთ მოსავლის აღება. ამ მეთოდით აღების დროს უნდა მოვმკათ და დავალაგოთ ღვარეულებად ყანის ის ნაწილი, რომლის აღებას და გალეწვას ვერ მოვასწრებთ პირდაპირი კომბაინირებული მეთოდით მოსავლის აღების დაწყებამდე.

გაყოფით აღების მეთოდი, პირველ რიგში გამოყენებულ უნდა იქნეს იმ ნაკვეთებზე და ისეთი კულტურების ასაღებად, რომელთა აღება პირდაპირი კომბაინირებით რთულია. მაგალითად, ისეთი ჯიშებისა, რომლებსაც აქვთ ჩამოცვენისა და ჩაწოლისადმი მიდრეკილება, მაღალღეროიანი ნამჯოვანი პურეული კულტურები, რომლებიც არათანაბრად მწიფდება (ფეტვი, შვრია, წიწიბურა და სხვა), ძლიერ დასარეველიანებული ნაკვეთები და ა.შ.

აღების ეს მეთოდი უნდა გამოვიყენოთ მაშინ, როცა ამინდის პროგნოზით ხანგრძლივი ნალექები არ არის მოსალოდნელი.

სამფაზა, ანუ მარცვლეული კულტურების აღების ინდუსტრიულ-ნაკადური ტექნოლოგია გულისხმობს მთელი ბიოლოგიური მოსავლის აღებას ყანაში, მის ტრანსპორტირებას სტაციონარულ კალოზე, გაშრობას და გალეწვას. ეს მეთოდი, რომელსაც აქვს მთელი რიგი უპირატესობანი, საჭიროებს სპეციალურ მანქანებს თანდათან ინერგება.

ჩვენს მუნიციპალიტეტში მისაღებია მოსავლის პირდაპირი კომბაინირებით აღების წესი, ვინაიდან გაყოფითი მეთოდით და ინდუსტრიულ-ნაკადური ტექნოლოგიით მოსავლის აღების დროს საჭიროა სპეციალური ტექნიკური საშუალებები, რომლებიც მუნიციპალიტეტში არსებულ ტექნიკურიმომსახურების ცენტრებს არ გააჩნიათ.

თავთავიანი მარცვლეული კულტურების აღების დროს ძირითადად გვხვდება ორის სახის დანაკარგები: 1. ბიოლოგიური და 2. მექანიკური. ბიოლოგიური დანაკარგები ძირითადად გამოწვეულია მარცვლეულის თვითჩაცვენით.

მექანიკური დანაკარგები ძირითადად გამოწვეულია კომბაინების მუშა ორგანოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობით.

კომბაინი ყოველთვის იმუშავებს მაღალი მწარმოებლობით და უდანაკარგოდ იმ შემთხვევაში, თუ სწორად გამართულია და მკაცრად იქნება დაცული ტექნიკური მოვლის წესები და მუშაობის პირობების შესაბამისად სწორად იქნება რეგულირებული კომბაინის ყველა მუშა ორგანო.

ნიკოლოზ ჯაფახიშვილი,
სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, აგროინჟინერიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

აქცია საგარეჯოში

დევნილთა სამედიცინო გამოკვლევა

დევნილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე მერაბ მენაბდე

18 მაისს შპს "ჯეოჰოსპიტალს"-ის საგარეჯოს მულტიპროფილურ სამედიცინო ცენტრს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმე და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრის მედპერსონალი ეწვია-საგარეჯოში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო გამოკვლევებისთვის. მედპერსონალს ახლდა საქართველოს დევნილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე **მერაბ მენაბდე,** საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრის გენერალური დირექტორი **ვახტანგ სურგულაძე,** ლტოლვილთა და განსახლების ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის რეგიონის სამმართველოს უფროსი **მერაბ გოქსაძე** და წმინდა იოაკიმე და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრის სხვა წარმომადგენლები. ამასთან, მათთან ერთად იმყოფებოდნენ საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის **თინათინ ხიდაშელის** ბიუროს წარმომადგენლები – **ცინარი კონიაშვილი** და **ლალი გრატიაშვილი.** აქციის ჩატარების ინიციატორი საქართველოს დევნილთა და განსახლების სამინისტრო იყო, რომლის განხორციელებას ხელი საპატრიარქოს წმინდა იოაკიმე და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრის წარმომადგენლებმა და პარლამენტარ თინათინ ხიდაშელის ბიუროს წარმომადგენლებმა შეუწყეს.

კომენტარი აქციის შესახებ ***საქართველოს დევნილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს*** **მერაბ მენაბდეს** ვთხოვეთ:

– საქართველოს დევნილთა სამინისტროსა და საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმეს და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრს შორის გაფორმებული მემორანდები ითვალისწინებს ჯანდაცვის კუთხით დევნილი მოსახლეობის დახმარებას. მოგახსენებთ, რომ ეს აქცია დევნილთა სამინისტროსთან თანამშრომლობის ერთ-ერთი ნაწილია. საპატრიარქოს სამედიცინო ცენტრის მედპერსონალი სამედიცინო გამოკვლევას ჩაუტარებს საგარეჯოში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომელთა რიცხვი 250 –მდეა. დღეს მთელი დღის განმავლობაში მათ მოემსახურებათ სამედიცინო ცენტრის მედპერსონალი- ყველა მიმართულების ექიმი: ქირურგი, გინეკოლოგი, თერაპევტი, რადიოლოგი, ენდოკრინოლოგი, ნევროპათოლოგი და სხვა. ასეთი სამედიცინო გამოკვლევები შესაბამისი სამედიცინო ფორმით, საპატრიარქოს წმინდა იოაკიმეს და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრში გაგზავნილი იძულებით გადაადგილებულ პირისათვის შემდგომში სამედიცინო გამოკვლევა ან კონსულტაცია უკვე უფასოდ არა, მაგრამ 20 პროცენტიანი ფასდაკლებით ხდება. კრიტიკული სიტუაციების შემთხვევაში კი უფასო საექიმო კონსულტაცია ან სამედიცინო დახმარება აღნიშნულ ცენტრს განსახლების სამინისტროს რეკომენდაციით უფასოდაც ჩაუტარებია. დღეს ამ აქციის ხელისშეწყობისათვის მადლობა მინდა გადავუხადო შპს " ჯეოჰოსპიტალს"-ის საგარეჯოს სამედიცინო ცენტრის მენეჯერს **კოტე გრძელიძეს**, ამავე ცენტრის ადმინისტრატორს **ზაზა ქვლივიძეს** და მედპერსონალს.

დეპუტატის ბიუროს თანამშრომლები: ცინარი კონიაშვილი, ლალი გრატიაშვილი და „ჯეოჰოსპიტალსის" საგარეჯოს სამედიცინო ცენტრის მენეჯერი კოტე გრძელიძე.

თავად ამ აქციის ინიციატორებს, მათ ხელშემწყობებს ემადლიერებიან აქციაზე მოსული საგარეჯოში მცხოვრები დევნილები. აი ისინიც:

მანანა და ზურა ბასარიები – აფხაზეთიდან ლტოლვილები: – იძულებით გადაადგილებულ პირებს მართალია, გვაქვს სამედიცინო პოლისი, ძალიან ყურადღებით გვეპყრობიან „ჯეოჰოსპიტალს"-ის საგარეჯოს მედპერსონალი, მაგრამ, როცა ყურადღება, მზრუნველობა იძულებით გადაადგილებულ პირებზე შესაბამისი სამინისტროს თანამშრომლებიდან მომდინარეობს, უკვე გრძნობ, რომ მარტო არ ხარ პრობლემების წინაშე, რომ შენზე ზრუნავს ის, ვისაც უშუალოდ ეხება ეს მზრუნველობა. დღეს ძნელია ერთ დღეში, რიგების გარეშე მიიღო შენთვის სასურველი ყველა მიმართულების ექიმის კონსულტაცია და შემოწმება. აი, ახლა ამის შესაძლებლობა მოგვეცა, რისთვისაც მადლობლები ვართ.

მანანა გეთია – აფხაზეთიდან ლტოლვილი: – მართალია პოლისის საშუალებით შესაძლებლობა აქვს ჩემს ოჯახს სამედიცინო მომსახურების შედავათიან ფასებში მომსახურების, მაგრამ აქცია, რომელიც დღეს მიმდინარეობს, მართლაც საინტერესოა. დღეს მე საშუალება მომეცა ვიზიტი მქონოდა ნევროპათოლოგთან, ენდოკრინოლოგთან, კარდიოლოგთან, და აი, ახლა მხედავთ, რადიოლოგის კაბინეტთან ვარ.

ექიმი რადიოლოგი აკაკი მეგრელიშვილი

ემიკო კაჭაშვილი – სამაჩაბლოდან, სოფელ ქურთიდან ლტოლვილი: – ძალიან გულისხმიერი, ყურადღებიანი ექიმები არიან. ჩემს ასაკში ექიმის კონსულტაციას, ყოველდღიურ მეთვალყურეობას მოითხოვს დაავადება დიაბეტი. ეს ისეთი დაავადებაა, რომელიც ერთნაირად აზიანებს ადამიანის ორგანიზმს და დღევანდელი აქცია მართლაც დროულია ჩემთვის – ლტოლვილისათვის, რაზედაც დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მის ყველა მონაწილეს.

გარდა დღევანდელი აქციისა, დევნილთა და განსახლების სამინისტრომ წინასაღდგომოდ აღდგომის წინა დღეებში საჩუქრები გადმოგვცეს – საყოფაცხოვრებო ნივთები. ყურადღება, მზრუნველობა და მართლა თანაგრძნობას და თანადგომას ნიშნავს ჩვენნაირი ადამიანებისათვის, ეს ყველაფერი, შვილო.

ნევროპათოლოგ იანა მადალაშვილთან

სპორტი

სპორტდარბაზებში

ვარჯიში, შეკრება შედეგს გამოიღებს

საგარეჯოს სპორტგაერთიანების სპორტული კომპლექსის (მთავარი მწვრთნელი მამუკა მათიაშვილი) დარბაზში იმ ახალგაზრდებისა და ვეტერანების ვარჯიშს დავესწარით, რომლებიც ამ კომპლექსში 12 დღიან საწვრთნელ შეკრებას გადიან.

შეკრების მეათე დღეა. აქ მწვრთნელების: მამუკა მათიაშვილის, ნუკრი გაგნიაშვილის, ლევან ბასილაშვილის, კახა ყორღანაშვილის მოსწავლეები ვარჯიშობენ. მათთან ერთად დარბაზში აქტიურად ვარჯიშობენ თავად მწვრთნელები და ვეტერანი მოჭიდავეები: ქართლოს თედიაშვილი, ჯამბულ მჭედლიშვილი. დაკვირვებული თვალი აშკარად ამჩნევს – ვეტერანები საოცარი სიზუსტით, ლამაზად, დახვეწილად აკეთებენ თითოეულ ილეთს – მართლაც სინქრონულად, ყოველგვარი უზუსტობის გარეშე.

ამ დარბაზში საქართველოს ტურნირებში მრავალჯერ თავნასახელები ახალგაზრდები ვარჯიშობენ: სოლომონ თედიაშვილი, გიორგი კუპატაძე, ზაზა როსტომაშვილი, ზაურ მამარდაშვილი, ზაზა ხუბულური (ეს უკანასკნელი საქართველოს ჩემპიონია სუმოში). ეს ის ახალგაზრდები არიან, ვინც საქართველოს ტურნირში მედლების მოლოდინში არიან. ისინი მონაწილეობას მიიღებენ 1 და 2 ივნისს გამართულ საქართველოს ძიუ-დოს ჩემპიონატში. მათთან ერთად იქნებიან 1993-1995 წლებში და 1996 წელს დაბადებული ახალგაზრდები. მწვრთნელებს გამარჯვების და დიდი წარმატებების იმედი აქვთ, ასევე ოთარ კაციაშვილის, ირაკლი კუპატაძის. გამარჯვებულები ევროპის ჩემპიონატის საგზურს მიიღებენ.

სპორტსმენების ვარჯიშს როგორც ყოველთვის, ახლაც თვალყურს ადევნებენ სპორტგაერთიანების დირექტორი გიორგი მაისურაძე, მენეჯერი ტარიელ როსტომაშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის სპორტის მთავარი სპეციალისტი გია ხოსიტაშვილი.

სპორტსმენთა შეკრების მიზნებზე, სპორტსმენთა დღის რეჟიმზე განმარტება სპორტგაერთიანების დირექტორს გიორგი მაისურაძეს ვთხოვეთ:

– საერთოდ, ასეთი სახის შეკრებები პრაქტიკულად თითქმის ყველა რეგიონსა და მუნიციპალიტეტშია, იქ, სადაც სპორტის შემდგომი განვითარებისათვის დაინტერესებულია მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და პარლამენტარიდანაც აქვთ მხარდაჭერა. ჩვენ კი, საგარეჯოელები, სიმართლე რომ ვთქვათ, მართლაც დიდ ინტერესს ვგრძნობთ ბატონი გიორგი ლოლაძისა და ქ-ნი თინათინ ხიდაშელისაგან. მათი დახმარებით და ხელშეწყობით ჩვენ ეს სპორტული დარბაზი მინი სპორტულ კომპლექსად ვაქციეთ. თქვენი გაზეთის მკითხველისთვისაც არის ცნობილი ეს – ჩვენ აქ გვაქვს შესანიშნავი სავარჯიშო დარბაზი, კვების ბლოკი, საძინებელი, საკონფერენციო დარბაზი, დასასვენებელი ოთახები – ტელევიზორით, სავარჯიშო ოთახები სხვადასხვა სპორტული ინვენტარით, აბანო, უახლოეს მომავალში საუნის სრულად ფუნქციონირებისათვის უკვე გარკვეული სამუშაოები ჩავატარეთ.

ვარჯიში

ჩვენი მაისის შეკრების მონაწილეები აქ გარკვეული დღის რეჟიმით ცხოვრობენ: დილის 7 საათზე იღვიძებენ და ღამის 10 საათამდე 6-7 საათის განმავლობაში ვარჯიშობენ, აქვთ სამჯერადი – შესანიშნავი კვება, აქვთ დასვენების საათები – ერთობიან ბილიარდით, უყურებენ ტელევიზორს, საუბრობენ, კითხულობენ, ეცნობიან პრესას. აქ მთავარი რეჟიმის დაცვაა. აქედან მომზადებულებს 25-26 მაისს საქართველოს პირველობაზე უნდა მიეღოთ მონაწილეობა, რომ იტყვიან „ფორმაში“ იქნებოდნენ, მაგრამ პირველობამ 1-2 ივნისისათვის გადაინაცვლა, რას ვიზამთ?! არც იმდენი საშუალებაა (ფინანსურად), რომ გავაგრძელოთ და 1 ივნისამდე ეს ახალგაზრდები კვლავ ამ რეჟიმში გვყავდეს. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო ამ შეკრების დამფინანსებლებს: გია მარხვაშვილს, ზაქრო დარისპანაშვილს, პაატა სიბოშვილს, ზაზა გულიკაშვილს, მერაბ ჭიაურელს, რომლებიც მართლაც რომ ერთგულად ამოუდგნენ მხარში ჩვენს სპორტსმენებს. აქვე მინდა გითხრათ, რომ ვეტერანი სპორტსმენები ჯამბულ მჭედლიშვილი, ქართლოს თედიაშვილი მწვრთნელებთან ერთად ეხმარებიან ახალგაზრდებს შეჯიბრებისათვის მზადებაში და თავადაც მამუკა მათიაშვილთან ერთად უბრუნდებიან ფორმას, სამივე მონაწილეობას მიიღებს ივნისის მსოფლიო პირველობაში ვეტერანებს შორის.

გულდასაწყვეტია, რომ ამ შეკრებას ტრავმების გამო გამოეთიშნენ ლევან მეფარიძე და ვანო მამისაშვილი. ჩვენ რამდენიმე დღე აქ გვყავდა თბილისელი ძიუდოისტები და საბერძნეთის მოქალაქე, ბერძენი ძიუდოისტი, რომლებთანაც საკმაოდ აქტიურად ვარჯიშობდნენ ჩვენი სპორტსმენები. ერთგვარი ხალისი შემოიტანა საგარეჯოელის, სუმოისტ ზაზა ხუბულურის ძიუ-დოში დაბრუნებამ. ვნახოთ, რა მიღწევები ექნებათ ჩვენს ძიუდოისტებს.

შეკრების მონაწილეები კი ასე აფასებენ ამ შეკრებას:

ლევან ხაბარელი – 14 წლის (ლტოლვილი სამაჩაბლოდან, საგარეჯოს IV საჯარო სკოლის მოსწავლე): – ეს შეკრება ძალიან საინტერესოა ჩემთვის. მე აქ დავუმეგობრდი ჩემზე ასაკით უფროსებსაც და ჩემს თანატოლებსაც, უფრო ახლოს გავეცანი მათ ხასიათებს. ვგრძნობ, რომ ძალა მომემატა, გავძლიერდი – კვება კარგია, ვარჯიში თავის შედეგს გამოიღებს. თანაც დამოუკიდებელი ცხოვრების წესს ვეჩვევი. ჩემი ოჯახი მრავალშვილიანია და არ მიჭირს მრავალრიცხოვან ჯგუფთან ურთიერთობები: ერთმანეთს ვასწავლით მეგობრობას, თანადგომას, გულშემატკივრობას, ვხვდებით სპორტულ შეცდომებს.

ზაზა ხუბულური (18 წლის) – შეკრებამ ის ახალგაზრდები გამაცნო, რომლებსაც ადრე არ ვიცნობდი, ჩვენ დავმეგობრდით და ყოველდღიურად ერთად ყოფნა, ერთად ვარჯიში, ერთად გატარებული 24 საათი და ეს 12 დღე ბევრ რამეს შეგვძენს თითოეულ ჩვენგანს. ამ ყურადღებას და მზრუნველობას ჩვენ ჩვენი გამარჯვებებით ვუპასუხებთ.

ზაურ მამარდაშვილი – რეჟიმის დაცვა სპორტსმენს აყალიბებს ნამდვილ სპორტსმენად – უყალიბებს პასუხისმგებლობას ვარჯიშის, თანამებრძოლების მიმართ. ეს მართლაც ძალიან კარგია.

წარმატებას ვუსურვებთ ჩვენს სპორტსმენებს!

ზაზა ხუბულური და ზაურ მამარდაშვილი

წინასაარჩევო დაპირებების კვალდაკვალ

კაკაბელებს საჭიდაო მოედანი ექნებათ

კაკაბეთში, ახლადაშენებული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის სამხრეთით მდებარე მიწის ნაკვეთში მოფუსფუსე ახალგაზრდები რკინის კონსტრუქციებს ამონტაჟებენ. ნაკვეთი გასულ წელს აქაურმა სპორტსმენმა ძიუდოისტმა უშანგი კუზანაშვილმა კერძო პირისაგან შეიძინა. აქ თვითონვე ჰქონდა გადაწყვეტილი საჭიდაო მოედნის გაკეთება, მოხდა ისე, რომ ეკლესიის მშენებლობას მოახმარა მთელი თავისი ჰონორარები (ჭიდაობაში წარმატებებისათვის მიღებული), მაგრამ ბოლომდე დათქმულ დროში ვეღარ ასწრებდა და ამიტომ კოალიცია „ქართული ოცნების“ ფუძემდებელი და ლიდერი ბიძინა ივანიშვილი მიეხმარა ეკლესიის მშენებლობის მომთავრებაში. ეკლესიაში მიმდინარე წლის 7 მარტს პირველი წირვაც აღევლინა. მხოლოდ ეკლესიის მომთავრების შემდეგ დაიწყო ფიქრი უშანგიმ საჭიდაო მოედნის მოსაწყობად. იმედიც ჰქონდა, კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი კაკაბელებისათვის სექტემბერში მიცემულ პირობას არ გადაივიწყებდა, დაჰპირდათ – კაკაბელებს გაზაფხულზე ახალი კეთილმოწყობილი საჭიდაო დარბაზი გექნებათო. და აი, სწორედ ამ დანაპირებს ასრულებს ახლა მთავრობა – საქართველოს სპორტის სამინისტრომ კახეთში რამდენიმე სპორტული მოედნის მოწყობა გადაწყვიტა და ერთ-ერთი მათ შორის საჭიდაო მოედანიცაა.

საჭიდაო მოედანი 1800 კვადრატული მეტრის ფართობის მქონე მიწის ნაკვეთზე იქნება განფენილი. თავად საჭიდაო მოედანს – წრეს, რომელიც ნახერხმოყრილი იქნება 26 მეტრი რადიუსი ექნება. იარუსების ტიპის სკამებზე 486 დასაჯდომი ადგილი იქნება, სულ კი მაყურებლისათვის განკუთვნილი ფართობი 514 კაცს დაიტევს. მაყურებელთა იარუსები მთლიანად ფერადი მასალით იქნება გადახურული, ხოლო ნახერხმოყრილი საჭიდაო მოედანი ღია იქნება.

საჭიდაო მოედანს სამშენებლო ორგანიზაცია „ელიტა-ბურჯი“ აშენებს. აქ მის თანამშრომლებთან ერთად კაკაბელებიც – მიხეილ ჯიქიძე, ნიკა ამბარდნიშვილი, ზაზა კუზანაშვილი და სხვებიც არიან დასაქმებული.

ჩქარობენ მშენებლები, რადგან მათ თვენახევარში უნდა მოემთავრებინათ ეს სამუშაოები, მაგრამ წვიმების გამო ცოტა შეფერხებები ჰქონდათ. პირობა პირობაა, მათ დროულად უნდა დაამთავრონ, რადგან კაკაბელები და მეზობელი სოფლების ახალგაზრდები მოუთმენლად ელიან ახალ, კეთილმოწყობილ საჭიდაო მოედანს.

P.S. ***ამ დღეებში უშანგი კუზანაშვილმა კიდევ ერთხელ ასახელა თანასოფლელები და ქართველები – ევროპის ჩემპიონატზე ძიუდოში მესამე ადგილი დაიკავა.***

საგარეჯოელი გულშემატკივრების სახელით ვულოცავთ ამ გამარჯვებას და წარმატებებს ვუსურვებთ!

გვერდი მოამზადა თ. ილაურმა

საგარეჯოელი ნორჩი ფეხბურთელები

ფეხბურთი

არ მეგულება კაცი, რომელსაც ბავშვობაში ფეხბურთელობაზე არ უოცნებია, ბურთისთვის არ უდევნია, ან უბანუბან შექმნილი ფეხბურთელთა გუნდის წევრი არ ყოფილა. რატომღაც „გაცივდნენ“ XXI საუკუნის ბიჭები ფეხბურთის მიმართ. აღარ აინტერესებთ ისე მასიურად – კომპიუტერმა, ათასნაირმა გასართობებმა ბიჭები დააშორა იმ თამაშს, რომლითაც გულშემატკივარ, თაყვანისმცემელ გოგონათა არმიას ზრდიდა და აფართოებდა. თუმცა, გოგონებს ახლა უფრო სხვა რამ მოსწონთ ბიჭებში – უფრო ქალურობისკენ, სინაზისკენ გადახრილი ქცევები... დღეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, თავად ქალაქსა და რამდენიმე სოფელში შექმნილია საფეხბურთო გუნდები. საინტერესო იქნება მათი მუშაობის გაცნობაც.

1982 წლიდან საგარეჯოს ფეხბურთის მოყვარულთა გუნდი „გარეჯი“ ჩამოყალიბდა, რომელიც განათლების განყოფილებისა და იმდროინდელი კომკავშირის ხაზით იღებდნენ მონაწილეობას და პერსპექტიულ მოთამაშეებადაც ითვლებოდნენ. სწორედ მაშინ აღმოაჩინა მწვრთნელმა გელა (გერონტი) ხებრელაშვილმა („ფეოლად“ წოდებულმა) რამდენიმე პერსპექტიული ფეხბურთელი. ახლაც შეუძლია გაიხსენოს მისი აღზრდილების: გია ილაურის, კახა სტეფანიშვილის, მამუკა კოხტაშვილის, თემურ ჯინჯიხაძის, ზურა მარგოშვილის, ზვიად კუჭუაშვილის, ლადიკო დათუნაშვილის წარმატებები...

ნინოწმინდელი ფეხბურთელები

– მაშინ მშობლები დაინტერესებული იყვნენ შვილებს მეტი დრო სტადიონზე, ფეხბურთის თამაშში გაეტარებინათ, ეხარათ მათი წარმატებებით. ახლა, ორი მაგალითიც ვიცი – პერსპექტიული ფეხბურთელობიდან „მოხსნეს“ მშობლებმა და ცეკვაზე შეიყვანეს, მაგრამ ამ შემთხვევაში მინდა ვთქვა, რომ აქ უკვე დედები, ქალები აქტიურობენ შვილების შემდგომი დატვირთვისათვის – ბურთის დევნა ძნელია, ცეკვა კარგია, წვეულებებში მაინც მოიწონებენ თავს, იმას კი არ ფიქრობენ, ფეხბურთი როგორ აყალიბებს მოზარდების ჯანმრთელობას, ფსიქიკას. იაროს ცეკვაზე, ითამაშოს ფეხბურთიც, რა არის ამაში ცუდი? – მეუბნება გელა ხებრელაშვილი, – ჩვენი რაიონის სხვა სოფლების რა მოგახსენოთ, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ ნინოწმინდელი მოზარდები და მათი მშობლებიც მართლაც დაინტერესებული არიან ფეხბურთით. ახლა გუნდში 18-19 ბავშვი მყავს. ტრადიციას აგრძელებენ, ახსოვთ წინა თაობის კარგი თამაშები, მათი წარმატებები. გიორგი კონიაშვილი ნინოწმინდიდან ჯერ კიდევ „ნორჩ დინამოში“ წაიყვანეს, შემდეგ ბულგარეთში იყო საერთაშორისო ტურნირებში, ესპანეთში მეკარედ წაიყვანეს. ასევე ბექა გრძელაშვილი იყო ბულგარეთში. მე პირადად ათეული წლების წინ საზოგადოებრივ საყოველთაო ადგილებზე ვამცადინებდი ბავშვებს. 2010 წლიდან კი მწვრთნელებს ხელფასი დაენიშნათ და მწვრთნელობის მსურველი ბევრი აღმოჩნდა... ისე, ხელშეწყობა უნდა გუნდის ყოლას. სურვილი ერთია, მაგრამ მისი შენახვა-მოვლა თანხებს მოითხოვს. არადა, არიან პერსპექტიული ფეხბურთელები. ბექა ბერიძე „ვიტ-ჯორჯიას“ ბავშვთა გუნდში გამოდიოდა. აქ ხელის შეწყობა, მისი შემდგომი ზრდა-განვითარება ფეხბურთში ნინოწმინდაში შეუძლებელი იყო. მან ბავშვთა მსოფლიო ფესტივალში მიიღო

ბადიაურის, კაკაბეთის, ყანდაურის ნორჩი ფეხბურთელები მწვრთნელ მალხაზ ნიჟარაძესთან ერთად

მონაწილეობა გუნდთან ერთად და III ადგილიც დაიკავეს. მშობელმა დროულად უნდა წაიყვანოს თავისი შვილი უკეთესი წვრთნებისათვის, მან მონაწილეობა უნდა მიიღოს გუნდურ, ამხანაგურ, კალენდარულ თამაშებში, წელიწადში 60 თამაში მაინც უნდა ითამაშოს, რომ ჩამოყალიბდეს ფეხბურთელად.

მე 27 წელიწადი მოყვარულის დონის მწვრთნელი ვიყავი. სულ ზეპირად დაგიხასიათებთ თითოეულ სოფელს, როგორ, რანაირად შეუძლია ფეხბურთელს მიხედოს, ვიცი თითოეული სოფლის მოსახლეობის განწყობა ფეხბურთის მიმართ.

საფეხბურთო კლუბების არსებობა და წარმატება სპონსორზეა დამოკიდებული. ამ რამდენიმე წლის წინ დედით საგარეჯოელმა გურამ რუხაძემ, რომელიც „ვიტ-ჯორჯიას“ პრეზიდენტია, საგარეჯოში ჩამოაყალიბა კლუბი, მაგრამ... არის რაღაც ნიუანსები, რომლის გათვლაც თავიდანვე ვერ ხერხდება.

კაკაბეთი-ყანდაურა-ბადიაურელი ფეხბურთელები

სოფლების – კაკაბეთი, ყანდაურა და ბადიაურის საჯარო სკოლებში მუშაობს სექცია, რომელსაც მწვრთნელი მალხაზ ნიჟარაძე ხელმძღვანელობს. მალხაზი მესამე წელიწადია, რაც აღნიშნული სოფლების სკოლების მოსწავლეებს ამეცადინებს. ამ სამ წელიწადში აქ გამოიკვეთა ის პერსპექტიული ფეხბურთელები, რომელთა შემდგომი ვარჯიში და წვრთნა, ხელშეწყობა მართლაც რომ კარგ შედეგს გამოიღებს. ისინი 11-12 წლის ბიჭები არიან და 6 აპრილიდან 25 მაისის ჩათვლით მონაწილეობდნენ 2000-2001 წელს დაბადებულ ბავშვთა ჩემპიონატ-ფესტივალში, რომელიც კახეთის მხარეში ჩატარდა და 8 რაიონის ნორჩი ფეხბურთელები შეხვდნენ ერთმანეთს.

– ეს შეხვედრები მართლაც მნიშვნელოვანია, – მითხრა საუბარში მალხაზ ნიჟარაძემ, – ნორჩი ფეხბურთელები ერთმანეთს ეცნობიან, თვალყურს ადევნებენ თამაშის ტექნიკას, შემდეგ აანალიზებენ თითოეულ თამაშს და ადვილად პოულობენ ერთმანეთისა თუ საკუთარ შეცდომებს. ამ ჩემპიონატს იმითაც ჰქონდა უპირატესობა, რომ აქ მსაჯთა ჯგუფი იყო კახეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის გოჩა როსტომაშვილის უშუალო თანამშრომლობით. თელავს, ლაგოდეხს, გურჯაანს, ყვარელს სპეციალური საფეხბურთო სკოლები აქვთ, ამდენად მათი თამაშები უფრო დახვეწილია.

ყანდაურას არა აქვს სტადიონი. ბადიაურს მინი სტადიონი აქვს, კაკაბეთს კი კარგი სტადიონი აქვს. სწორედ აქ მიწევს მათი, 23 ბავშვის თავმოყრა და ერთობლივი ვარჯიშები, არადა მოგეხსენებათ მათ ერთად, ნორმალურ სტადიონზე მუშაობას რა შედეგები შეიძლება ჰქონოდა. ისინი გასული წლის 12 დეკემბერს კახი ასათიანის სახელობის ტურნირში იღებდნენ მონაწილეობას. მათთან ერთად ვარჯიშობენ იორმუღანლოელი ელმირ ჯაფაროვი და ქეშალოელი ელმინა მამედოვი.

12 თებერვლიდან სოფელ ქეშალოსა და იორმუღანლოს საჯარო სკოლების 51 მოსწავლე გაერთიანდა საფეხბურთო სექციაში. მათ ოთხი შეხვედრა ჰქონდათ და ოთხივე მოიგეს. მინდა გითხრათ, რომ ყველა ისეა დაინტერესებული ფეხბურთით, წვრთნებით, რომ მალე თავიანთ სიტყვას იტყვიან არა მარტო მუნიციპალიტეტის მასშტაბით. ნორჩ ფეხბურთელებს ხელშეწყობა, დაფინანსება სჭირდებათ. მშობელი ხელს ვერ უწყობს ეკონომიური მდგომარეობის გამო. 2005 წლიდან მე გურჯაანიდან საგარეჯოში გადმოვედი მწვრთნელად. ერთი და ორი წელი არ არის საკმარისი შედეგის მისაღწევად; არადა, გული გწყდება, როცა ხედავ მოზარდის დაინტერესებას ფეხბურთით, მის შესაძლებლობებს. ყველანაირად ვცდილობდი ხელის შეწყობას მათთვის. ზაფხულში დასასვენებლად და სავარჯიშოდ ისინი ქობულეთში დამყავდა, მაგრამ მიმდინარე წლის იანვრიდან ჩემი შტატი გააუქმეს და ახლა საზოგადოებრივ საყოველთაოებზე მიხდება მათთან კვირაში 2 დღე წვრთნებზე სიარული. მენანება ჩემი ნაშრომი, ბავშვებს ვერ მივატოვებ, რაღაცნაირად ისე აეწყო ჩვენი ურთიერთობები, რომ ჩემი სინდისის წინაშეც არ ვიქნები მართალი, რომ ისინი მივატოვო. ამას ქეშალოელი და იორმუღანლოელი პერსპექტიული ფეხბურთელებიც დაემატა და ვარ გაურკვეველ მდგომარეობაში. ოჯახი, გზა (მალხაზი გურჯაანელია) უკვე აღარ იძლევა საზოგადოებრივ საყოველთაოებზე მუშაობის საშუალებას...

საგარეჯოელი ფეხბურთელები

საგარეჯოელი დათო მაისურაძე (იგივე „ბარტეზა“) 1999 წელს დაბადებული 18 ბავშვის და 2004 წელში დაბადებული 20 ბავშვის მწვრთნელია. გაზაფხულდა და იმატა ფეხბურთის სექციაში გაერთიანების მსურველებმა.

დათომ უეფას „ბ“ ლიცენზიის საწვრთნელი კურსები 2010-2011 წლებში გაიარა. მიიღო ლიცენზია და ორი წლის შემდეგ კიდევ ეძლევა უფლება უეფას „ა“ ლიცენზიის მიღების. საწვრთნელი პროგრამა გაიარა მილანში, ბარსელონაში, მადრიდში. მას უფლება აქვს ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში იმუშაოს. ხელფასიც მეტი იქნება 200 ლარზე და მისი გაზრდილების სპორტული მიღწევებიც მეტი. მაგრამ, რა ქნას დათომ, უყვარს ეს საგარეჯო, უყვარს თავისი საქმე, თავისი მოსწავლეები – პატარა ფეხბურთელები. გული სტკივა – საგარეჯოში რამდენიმე წლის შემდეგ ვეღარ ხდება მისი მოსწავლის ფეხბურთელად გაზრდის შესაძლებლობა და თავის გაზრდილებს „მზარმზარეულად“ უგზავნის თბილისს. მისი გაზრდილი ნიკა კევლიშვილი საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს“ ფეხბურთელია. მისი გაზრდილია „ვიტ-ჯორჯიას“ ფეხბურთელი ჯუბა გოდერძიშვილი. რა ექნა?! საგარეჯოს ფეხბურთის სტადიონი ისეა „სახედაკარგული“, აქ ტრავმების მეტს ვერაფერს იღებს ნორჩი ფეხბურთელი – საფარი მთლიანად ამორტიზებულია, ადგილები ისეა ჩაღრმავებული, თუ წვრთნების დროს ყურადღებით არ იქნებიან, შეიძლება სამუდამოდ ინვალიდები დარჩნენ ბავშვები. სტადიონის გარეშე ფეხბურთელი კი მოგეხსენებათ, ფეხბურთელი აღარ არის. და ისე გამოდის, რომ უეფას „ბ“ ლიცენზიის მფლობელი მწვრთნელი საგარეჯოში ამზადებს ბავშვებს, რათა შემდეგ ამოარჩიოს და თბილისის ან სხვა ქალაქის საფეხბურთო კლუბებს 14-15 წლიდან კარგად გაწვრთნილი, საუკეთესო მონაცემების ფეხბურთელები გაუგზავნოს.

საგარეჯოელ ფეხბურთელებზე

***საგარეჯოს სპორტგაერთიანების ფეხბურთის მენეჯერი* თემურ ხუციშვილი:** ჩვენს მუნიციპალიტეტში ოთხი მწვრთნელი მუშაობს ნორჩ ფეხბურთელებთან: გოგა მაისურაძე, დათო მაისურაძე, გელა ხებრელაშვილი და რეზო ხებრელაშვილი. ოთხივე საკამოდ გამოცდილი, მონდომებული მწვრთნელია. მათგან დავით მაისურაძესაც აქვს უეფას „ბ“ ლიცენზია მიღებული, რეზო ხებრელაშვილი კი „ც“ ლიცენზიის მფლობელია. სიმართლე ითქვას, მოზარდი და მისი მშობელი აღარ არის ისე დაინტერესებული ფეხბურთით, როგორც ეს წინა წლებში იყო, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც ინტერესი დიდი აქვთ. თანაც, ჩვენი მწვრთნელებიდან არც ერთს აკლია ენთუზიაზმი, მონდომება და გამოცდილება. გოგა მაისურაძის ფეხბურთელები მონაწილეობენ ბარქაიას სახელობის ტურნირზე, რომელსაც თბილისისა და აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციები აწყობენ. დათო მაისურაძის ნორჩი ფეხბურთელები – ღოღობერიძის სახელობის ტურნირზე 1998 წელს დაბადებულ ბავშვებს შორის, რომელიც აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის თაოსნობით ეწყობა. ამჟამად მიდის თამაშის მეორე წრე, რომელიც მაისის ბოლოსათვის დამთავრდება. მოგეხსენებათ, პირველი წრე შემოდგომით იწყება, II წრე კი – გაზაფხულზე. მომავალ წელს უკვე რეზო ხებრელაშვილის ნორჩი ფეხბურთელები მიიღებენ მონაწილეობას.

ჩვენი ნორჩი ფეხბურთელების წვრთნას ჩვენი სტადიონის არამუშა მდგომარეობა უშლის ხელს. მიწის საფარი განადგურებულია, დანგრეული, სადაც ტრავმების შესაძლებლობებს ქმნის. ჩვენი სტადიონი ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა, რაც ართულებს მდგომარეობას. ჩვენს მუშაობას რაღაცნაირად ეხმარება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ვაჟა ჯავახიშვილი, რომელიც სახალისო ფეხბურთის ჩატარების ორგანიზატორად გვევლინება და გვეხმარება ინვენტარის შემოტანაზე, რასაც ბავშვებზე ვანაწილებთ.

შეხვედრაზე საქართველოს პარლამენტის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი თინათინ ხიდაშელი დაგვპირდა სტადიონის ხელოვნური საფარის მოწყობაში, ვნახოთ, ველოდებით მის მხარდაჭერას, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ნორჩი ფეხბურთელების ნორმალურ წვრთნას.

თინა ილაური

გარეჯელი ფეხბურთელი — გერმანიის ობერლიგის მოთამაშე

გერმანიის ობერლიგის გათამაშების მონაწილე 25 წლის გარეჯელი ფეხბურთელის,– მიხეილ ხუციშვილის შესახებ ინფორმაცია, მისმა ყოფილმა მწვრთნელმა,საგარეჯოელებისათვის კარგად ცნობილმა მწვრთნელმა და "გარეჯის" ფეხბურთელმა რეზო ხებრელაშვილმა მოგვაწოდა.

მიხეილი საგარეჯოელებისათვის ასევე კარგად ცნობილი პიროვნების მიხეილ (ფეშხანაანთ მიშა) არჩუაძის შვილიშვილი და მისი ქალიშვილის კინორეჟისორ მაია არჩუაძის შვილია. 1987 წელს თბილიში დაბადებისა და სწავლის მიუხედავად,ფეხბურთში ფეხი მას საგარეჯოში აუდგია, ზაფხულობით საგარეჯოში ყოფნისას, ის "ხშირი სტუმარი "ყოფილა საგარეჯოს სტადიონის, სადაც თანატოლებთან ერთად დღე და ღამეს ფეხბურთის თამაშში ასწორებდა. იმ პერიოდისათვის მისი ასაკის ფეხბურთელთა გუნდი საგარეჯოში არ ყოფილა, მაგრამ თავისი თამაშით ისე მოუწონებია თავი „გარეჯის“ უფროსი ასაკის გუნდის მწვრთნელ გელა (ფეოლა) ხებრელაშვილისათვის, რომ მას მიხეილი თბილისის საფეხბურთო სკოლა „ნორჩი დინამოელის“ მწვრთნელ გელა გომელაურთან მიუყვანია „გასინჯვაზე“. ჩანს, მიხეილს მოუხერხებია გომელაურისათვის თავის მოწონება და 1996 წლიდან მიხეილმა „ნორჩ დინამოში“ დაიწყო ვარჯიში. აქედან იგი სავარჯიშოდ საფეხბურთო სკოლა „ოლიმპიკში“ გადასულა (1999-2002წწ), 2002 წლიდან კი კლუბ ოლიპში.

2003 წლისათვის მიხეილი უკვე საქართველოს 16 წლამდელთა ნაკრებშია (მწვრთნელი გ. გომელაური) და მონაწილეობა მიიღო 2003 წლის 3-7 ნოემბერს თურქეთში გამართულ ევროპის 17 წლამდელთა შესარჩევ ტურნირში. სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრებში მისი ყოფნა დიდხანს არ გაგრძელებულა (6 თამაში, 1 გოლი), რადგან მუხლის ოპერაციის გაკეთება დასჭირდა.

ამის შემდგომ,2004-2005 წლებში მიხეილი საფეხბურთო კლუბ „თბილისში“ (I ლიგა, 34 თამაში – 13 გოლი), 2007-2008 წლებში ამავე საკლუბო გუნდის უმაღლესი ლიგის გათამაშებაში მონაწილეობს, სადაც 12 თამაშიდან 3 გოლი აქვს გატანილი.

2008-2009 წლებში მიხეილ ხუციშვილი სიღნაღის საფეხბურთო კლუბ „ქიზიყის“ თავდამსხმელი ხდება, სადაც ამ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა რეზო ხებრელაშვილმა მიიწვია და გათამაშების ბომბარდირი გახდა (30 თამაშიდან – 18 გოლი).

2009-2010 წლის საფეხბურთო სეზონში ჩვენებური თავდამსხმელი უკრაინის საფეხბურთო კლუბ „ობოლონის“ მოთამაშეა, მაგრამ ტრამვის გამო მალე მოუხდა მისი დატოვება. ამის შემდეგ მას პირველად მოუხდა ოფიციალურად ეთამაშა იმ გუნდის შემადგენლობაში, რომლის სტადიონზეც პირველად აიდგა ფეხი ფეხბურთში. 2010-2011 წლებში იგი „გარეჯის“ თავდასხმაში თამაშობს (18 თამაში, 11 გოლი).საფეხბურთო კარიერასთან ერთად მიხეილმა მოასწრო თბილისის მე-6 საავტორო სკოლისა და ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დამთავრება, 2011 წელს კი ჩაირიცხა გერმანიის ქალაქ ბონის ფრიდრიხ ვილჰელმის უნივერსიტეტში. 2012 წლიდან კონტრაქტი გააფორმა და არის საფეხბურთო კლუბ „ბონერის“ ფეხბურთელი, სარგებლობს დიდი პოპულარობით კლუბის ფანებს შორის.

„ბონერთან“ მისი კონტრაქტი მოქმედებს 2013 წლის ზაფხულამდე. აქვს შეთავაზებები ავსტრიის, რუმინეთის და გერმანიის სხვადასხვა კლუბებიდან და ადვილად შესაძლებელია, მომავალში ერთ-ერთი მათგანის მოთამაშედ მოგვევლინოს.

გივი დაბახიშვილი

ლიტერატურული კუთხე

***

ჩემთან – ჩემო,
სხვასთან – სხვისო,
თუ დაგჭირდა,
  არავისო ...
ავის თქმას ვინ გაგიბედავს
ქების ღირსო:
შენ რომ გკითხონ,
შენი სიტყვა
ძვირი ღირსო ...
სადი თვალით დანახულო,
მთლად უღირსო !

ნოსტალგია

(ფიქრები იემენის ცის ქვეშ)
როცა ტაიზის ჟანგისფერ ღრუბლებს
ცხელი წვეთები უხვად დასცვივდა,
გამომეცხადე და თვალთა ზღურბლზე
შენი შხაპუნა წვიმა მაწვიმდა.
მოუშუშები და ძველთაძველი,
გულს ამიკვნესდა შენი იარა,
რამდენი მძაფრი გადაგხდა წელი
გრიგალმაც ბევრჯერ გადაგიარა.
გქონდა ტკივილიც გაუმხელელი,
ცრემლები სიმწრის გდიოდა ღვარად,
მაინც მხნედ იდექ დაუძლეველი,
მაინც იმედის მზე გენთო მარად.
შენს იქით მკრთალი ჩანდა ყოველი
და ისევ, თუკი სადმე შორს წავალ,
მონატრებული მადლის მთოველი
კვლავ შენი ზეცა მექცევა წამლად !

ნუგეში

სიტყვის ფასი – ნუგეშია,
ზოგჯერ სიტყვა – დენთია,
დარდით გრძნობაც იფერფლება
ყველაფერი – ერთია !
ზოგჯერ ნებით სუნთქვა გიჭირს
და ფიქრებიც
დღეთა ფერხულს ერთვიან ...
სიკეთეც კი, დათესილი,
ამოდის და
მხოლოდ ცრემლის ღვენთია ...
გული ძგერს და
გული ნატრობს
შვებულებას ერთთვიანს
და ეს ბოლოც მთლად ოცნება,
ზღვა და ქობულეთია ...
ამ ქაოსში წლები გარბის
ცვლილებებიც აზრთა ტალღას
ერთვიან ...
მხოლოდ რწმენა მასულდგმულებს:
ნუგეში ხომ ქვეყნად ერთადერთია !

ძველი-ახალი სახელები

ნატო პაპუაშვილი

რუბრიკამ ხომ არ დაბაბნიათ ძვირფასო მკითხველო?! დიახ, სწორია, არ შეგცდომია. ნატო პაპუაშვილი ჩვენი რაიონის პოეზიის მოყვარულთა გულებს 90-იანი წლებიდან იპყრობს. ნატოს ლექსები კოჯბანის, საქართველოს ლამაზი ბუნების , ვაჟკაცობის, ქართველობისა და ქართულის სიყვარულით ალმურავარდნილი გვიხსნიდა გულის კარს და იქ დავანებულ სულს ისე გვიფრიალებდა, ათეული კილომეტრიც დაშორებითაც ვგრძნობდით, რა სურნელი ჰქონდა მასთან შეპაექრებულ, კაფიების მოყვარულ წიკლაურებს და არაბულებს, არჩემაშვილებსა თუ კაფიებში კალამგაუწვრთნელ მის თანატოლებს. ნატომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ კოჯბანის საშუალო სკოლაში დაიწყო ქიმია-ბიოლოგიის პედაგოგად მუშაობა. კოჯბანის პოეზიის, ხელოვნების, მთისა და ბარის ფოლკლორის მოყვარულებს კიდევ ერთი პოეტი, მოცეკვავე, სულ-ხორციანად პედაგოგი შეემატა. ისინი კიდეც ამაყობდნენ – მათთან საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალების ოთხგზის ლაურეატი, უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლ "მთაწმინდის" სოლისტი პედაგოგად მუშაობდა. ნატომ მხოლოდ 2000 წელს დატოვა კოჯბანის საშუალო სკოლა – კაკაბეთს დაუბრუნდა ოჯახური მდგომარეობის გამო. საამაყოდ და სულის საგზლად კოჯბანელებმა დიდი სიყვარული გამოატანეს. მას კი ეამაყება – მისმა აღზრდილმა ხათუნა ჩორხაულმა (რომელიც შემდეგ კოჯბანის საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი და დირექტორიც იყო) ქიმიის ფაკულტეტი ნატო მასწავლებლის სიყვარულით დაამთავრა.

დღეს ნატო პაპუაშვილი მრავალწლიანი "შესვენების" შემდეგ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გვთავაზობს თავის ნაფიქრ-ნაზრევს, ნასათუთევ ლექსებს. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ძალიან განსხვავდება "კოჯბანის ლექსებიდან" "კაკაბეთის ლექსები". დიახ, ნატო დღეს კაკაბეთში, მშობლიურ კერაზე ცხოვრობს და ამავე სოფელში ქიმიას ასწავლის საჯარო სკოლაში.

ფეხბედნიერი ყოფილიყოს "ბარეჯის მაცნეში" ნატოს ლექსები. მისი ლექსების ხიბლი კი დღესაც ატყვია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთის "უნივერსიტეტის", ჟურნალი "მოძღვარის", ჩვენს რაიონულ გაზეთებს.

–ს

მე ბევრი რამე არ მესმის ქვეყნად,
იცი?, რამდენი რამე არ მესმის,
რომ გითხრა, ალბათ გაგიკვირდება:
სამაგიეროდ ერთი რამ ვიცი,
მინდა გასწავლო,
მაგრამ რად გინდა,
ვიცი, გაგება გაგიჭირდება.
გითხარი ერთხელ ,კვლავ გეტყვი ასჯერ:
მსურს გულს მხვდებოდე მთლად
სიხარულად,
მაგრამ შენ სხვა ხარ ვიცი, ფარულად
იცვლები ხოლმე ამინდივით,
"მომენტალურად".

გახუნებული სიკეთის ფარჩა

კაცს გაახსენდა კაცის სიკეთე,
ბაგეს უკრთობდა ცრემლების წყება:
მისი აშკარა გრძნობის სიმკვეთრე
გამიკვირდა და არ მავიწყდება ...
მერე განელდა მხურვალე გული,
გახუნდა ძველი სიკეთის ფარჩა,
მადლი, კაცისთვის გამეტებული,
გამოუცნობელ ცრემლებად დარჩა.

მონატრება

გამახსენდები საბრალო მამავ,
ნაზამთრალ მიწას ცრემლებით ვნამავ...
და მონატრებით მეც ვცოცხლობ სანამ,
მოგონებების ზვირთდება ტალღა:
ხსოვნის ზურმუხტში დგეხარ მაღალი,
დაღარულ შუბლით – გლეხი ალალი,
გაფორიაქებს განცდა მრავალი
და ელოდები მოთმენით რიჟრაჟს.
ღრმად სუნთქავ, ფიქრობ
გაფრენილ წლებზე
ნაჯაფარ ხელებს დაიწყობ წელზე,
შრომით დალეულ, ფერმკრთალ
ღაწვებზე
ცრემლის ჩანჩქერი ჩამოიღვრება ...
გიხმობს ვენახი, ვაზის ძირები,
ამ სიყვარულში მთლად იძირები
ჩაიმუხლები და თან სიმღერით,
მოეფერები ნაზამთრალ რტოებს ...
ისვენებ, გატკბობს ჰანგი ქართული,
სულში ჩამწვდომი, ძველი, ხალხური,
ვაზს ეფერები ფიქრში გართული
ღიღინებ "ბიჭო ანაგურელო"-ს...
ხავერდის ხიდან დაცურდა ცრემლი,
მაკლია მამის მზრუნველი ხელი,
ვენახიდან კი მოისმის ხმელი,
მაგრამ სიცოცხლემოწყურებულ
ვაზის ძახილი.

ყოველ გაზაფხულს!

ყოველ გაზაფხულს მუხლმოდრეკილი.
ვეამბორები იებს
და გაზაფხულის უოქმელ სიყვარულს
ვიცი, რომ მაპატიებს!
ყოველ გაზაფხულს ბუნების ძალას
მუხლმოდრეკილი შევთხოვ:
შემინარჩუნე სულის სიმშვიდე,
ისე მაცოცხლე, ღმერთო!
ყოველ გაზაფხულს მადლით ამავსებს,
მზის მოალერსე სხივი,
ყვავილებისგან მინდა ავკინძო
მარადისობის ტივი !
ყოველ გაზაფხულს გულანთებულმა
მინდა სათქმელი ვუთხრა,
დამუნჯებული იასამნების
ნაზი სურნელით ვსუნთქავ!
ვარდის კოკორზე სუნთქვაშეკრული
შევიშრობ ცრემლის კურცხალს
ყოველ გაზაფხულს, წყალობისათვის
მადლობას ვუხდი უფალს!

ერთი დღე უდაბნოელებთან

აქედან იწყება ჩვენი საშოგლო

მაისის იმ ლამაზ დღეს უდაბნოს საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში უდაბნოს საკლუბო მუშაობის სპეციალისტმა ფიქრია მარგიანმა აქაური პედაგოგები, სკოლის მოსწავლეთა მშობლები, სოფლის საზოგადოების ნაწილი მოიწვია, რათა ერთხელ კიდევ შეეხსენებინათ ერთმანეთისთვის, რომ დედამიწაზე სიცოცხლეს, კაცთმოყვარეობას, ქართველობას, მართლმადიდებლობას, მამულს, ენას, – მიმტევებლობა და სიყვარული გადაარჩენს. სიყვარული ყველაფერი ქართულის, ქართული ტრადიციებისა და ერთმანეთის, თითოეულის სიცოცხლის გაფრთხილებისა.

კაფე-საღამოს სტილში მოწყობილ ღონისძიებაში თითქმის ყველა მონაწილე აქტიურად იყო ჩაბმული. აქ თავისუფლად შეიძლებოდა ჩვენს ყოველდღიურობაზე აზრის, შეხედულების გამოთქმა, რა, როგორ მოგვეთხოვება თითოეულ ქართველს – გავუფრთხილდეთ, დავიცვათ და მოვეფეროთ ყოველივე ქართულს – ლექსს, სიმღერას, ცეკვას, სადღეგრძელოს, ტრადიციებს, რომლებსაც თავად ჩვენი წინაპრები სიცოცხლის ფასად უფრთხილდებოდნენ და ხელიდან ხელში თაობებს მოწიწებით და რუდუნებით გადმოსცემდნენ...

ამიტომ იყო ასეთი გულშიჩამწვდომი, სულის ამაფორიაქებელი, ქართველობაზე კიდევ ერთხელ დამაფიქრებელი ახალგაზრდა მომავალი თაობის უდაბნოელების: ლიკა გულბანის, ლერი ცინდელიანის, თამუნა იოსელიანის, ნინო გოგოჭურის, თამთა გულბანის, სოფო იოსელიანის, ნატალი კორძაიას, გიორგი არდელიანის, გიორგი თოდუას,გვანცა ქალდანის,თაკო ჭელიძის ქართული, სვანური სიმღერები და ცეკვები,რომლებსაც ისინი ფიქრია მარგიანთან ერთად ასრულებდნენ. კაფე-საღამოს თავისებური სილამაზე შესძინა ფოლკლორულ ანსამბლ „კასლეთილას“ ხელმძღვანელის ფიქრია მარგიანისა და ანსამბლის წევრების ირმა მუკვანისა და ხათუნა მარგიანის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა, მათ მიერ წაკითხულმა ლექსებმა.

კაფე-საღამოს მონაწილეებს სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს უდაბნოელმა მამაკაცებმაც ოთარ ფარჯიანმა და ბაჩო თამლიანმაც.

კაფე-საღამოზე მოწვეულ სტუმრებს უდაბნოელებმა ფიქრია მარგიანის ორგანიზებით მომზადებული ღონისძიებით კიდევ ერთხელ მოაწონეს თავი და ხაზი გაუსვეს იმას, რომ ქართველი, რომელი კუთხის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს და სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, უპირველეს ყოვლისა, არ კარგავს თავის მეობას, თავის კულტურას, არ ივიწყებს ისტორიას და მის პატივისცემას, უფრთხილდება იმასაც, რაც მისმა წინა თაობამ დიდი რუდუნებით, მოფერებით და სიყვარულით მოიტანა ამ თაობამდე. დიახ, მათ კიდევ ერთხელ შეგვახსენეს, რომ „ქართველს ერთი აქვს სამშობლო, ვერვის ვერ მივცემთ წილსაო“ და ამ ერთადერთ, განუმეორებელ და საყვარელ სამშობლოს მოფრთხილება და მოფერება სჭირდება – ჩვენც ღირსეულად რომ გადავცეთ თავისი ქართული ტრადიციული ღირსებებით ჩვენს მომდევნო თაობებს.

თინა ილაური

მამათა მამა



არქიმანდრიტი, ბერი გიორგი ბასილაძე (არქიმანდრიტის ხარისხში მამა გიორგი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე აიყვანა) სოფელ ჭოგნარში 1933 წლის 30 აგვისტოს დაიბადა. მცხეთის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ ჭოგნარის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიაში 34 წელი იმსახურა მღვდლად, შემდეგ კი მოწამეთაში წმინდა დავით და კონსტანტინე მხეიძეების სახელობის ეკლესიის დეკანოზი იყო. დეკანოზი გიორგი საქართველოზე, ქართველობაზე უსაზღვროდ შეყვარებული მღვდელმსახური იყო, რომელსაც უფლისგან წარსული საუკუნეების და მომავლის ჭვრეტის დიდი უნარი ჰქონდა. ეს უნარი კი მისი დიდი ნებისყოფითა და ვნებათა დათრგუნვით ჰქონდა მიმადლებული უფლისგან. მლოცველი მამა, სნეულთ მკურნალი, სხვადასხვა ნიჭებით დაჯილდოებული არასოდეს უკეთებდა თავს აფიშირებას, ცხოვრობდა მართლმადიდებელი ბერის ცხოვრებით – მარხულობდა, უფრო სწორია თუ ვიტყვით, უკიდურესად შიმშილობდა, უძლებდა სიცივეს, სიცხეს, კომუნისტთაგან დევნას და ყველაფერს ამას უფლის, მოყვასის დიდი სიყვარულით აკეთებდა. მას „ფეხითმოსიარულე“ ესპანელმა მოგზაურმა შეარქვა, რომელსაც მამა გიორგი ქუთაისიდან თბილისში ფეხით მომავალი დაუფიქსირებია თავისი ფოტოაპარატით. მამა გიორგი მართლაც ამართლებდა ამ სახელს – ფეხით იყო ჩამოსული 35-ჯერ ქუთაისიდან თბილისში.

კომუნისტების დროს დევნილი, საკუთარ კარმიდამომოშლილი სასულიერო პირი არც ნაციონალებმა დაინდეს და სიმართლის თქმისათვის – მაშინდელი მთავრობის ქმედების ხმამაღლა მხილებისათვის აქტიურ მღვდელმსახურებას ჩამოაცილეს. ძველი მთავრობის დამქაშმა ქუთაისელგაენათელმა მთავარეპისკოპოსმა ეკლესიის მსახურება შეუჩერა, თუმცა მამა გიორგის არც მაშინ მიუცია თავისთვის უფლება წირვა-ლოცვის დაყენებისა, როცა ილია II-მ დაიბარა და მღვდელმსახურების უფლება აღუდგინა. მამა გიორგიმ აქაც გამოავლინა თავისი ქრისტესმიერი მორჩილება – ბოლომდე, სიკვდილამდე დაემორჩილა ეპარქიის მთავარეპისკოპოსის ნება-სურვილს.

რას ერჩოდნენ, რატომ ებრძოდნენ კომუნისტები ან ნაციონალური მოძრაობის ხელისუფალნი?! კომუნისტები – ათეისტები იყვნენ. 2007 წლის მარტის გაზეთ „კვირის პალიტრის“ კორესპონდენტებთან გაზეთის ნომერში მიცემულ ინტერვიუში მამა გიორგიმ სიმართლე თქვა – ამხილა იმდროინდელი მთავრობისა და ხელისუფლების „შავბნელი“ საქმეები, თავისი ხილვებით იწინასწარმეტყველა ის, რაც ღმერთმა გაუხსნა – 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენები – ის, თუ რა სისასტიკით გაუსწორდებოდნენ მომიტინგეებს მათ მიერვე მოყვანილი ნაციონალები... რატომ, როგორ გაბედა და მთავარეპისკოპოსს დავალება მიეცა... მანაც ერთგულად აღასრულა ამქვეყნის ხელისუფლების მოთხოვნა და ჯერ დევნა დაუწყო, მღვდელმსახურება შეუჩერა და 2008-2009-2010-2011 წლებში გამოსული წიგნები „ფეხითმოსიარულე“, „ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელი“, „თავნი და ბოლონი იტყვიან, გიორგი“, „ძალა და თავისუფლება“ მთავარეპისკოპოსის დავალებით სულ 5 ტომი ცეცხლს მისცეს ქუთაისში – იქ, სადაც კი იყიდებოდა, ბაზრობებზე თუ ჯიხურებში და რაოდენ გაესაკვირიც არ უნდა იყოს, გიორგიწმინდის ეკლესიის მრევლს ჩაგვქონდა ეს წიგნები – როგორმე ხელმისაწვდომი ყოფილიყო იქაური მრევლისათვის. წაიკითხეთ ეს წიგნები, ბევრი მართლმადიდებლისათვის სამაგიდო წიგნებად რომ იქცნენ, წაიკითხეთ, რომ უკეთესად შეიმეცნოთ სახარებისეული სიბრძნე, უკეთესად გაიცნოთ საქართველო, საქართველოს, ქართველობის მსოფლიო დანიშნულება, მამა გიორგის მიერ ახსნილი ამქვეყნიური ცხოვრება, სულ სხვანაირად დაგანახებს ადამიანურ ცოდვებს და მისი დარიგებები გამოგასყიდინებს იმ ცოდვებს, რომელიც სულს უფორიაქებს და ხშირად ცხოვრების ხალისს უკარგავს ადამიანს.

მე თავად არაერთხელ გავხდარვარ მოწმე მამა გიორგის მიერ ჩვენი მრევლისათვის ისეთი საიდუმლოს გახსნისა, რომელმაც სწორი გზა გვაპოვნინა მონანიებისა და ცხოვრების ახლებურად წარმართვისათვის.

მამა გიორგი ბასილაძე 2011 წლის 7 აპრილს ხარება დღეს გიორგიწმინდას ესტუმრა. გიორგიწმინდელებთან ერთად მას აქ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მრევლი დახვდა. დახვდა დიდი სიყვარულით. ეს დღე უმნიშვნელოვანესია იმ დღეებს შორის, რომელიც გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის მრევლს ახსოვს 1998 წლიდან დღემდე: იმ დღეს ეკლესიის ამბიონზე ერთად სამი ნამდვილი იდგა.

ნამდვილი იცით, რას ნიშნავს? წაიკითხეთ წიგნები მამა გიორგი ბასილაძეზე, რომელსაც წმინდა ათონის ბერებმა მამათა მამა უწოდეს და მაშინვე მიხვდებით.

გთავაზობთ ნაწყვეტს მღვდელი გიორგი პავლოვის წერილიდან, რომელიც ფეხითმოსიარულეს II ტომში დაიბეჭდა.

თინა ილაური

„დიდება შენდა ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა!“

(იბეჭდება შემოკლებით)

ყოველივეს თავისი დრო აქვს და როგორც წმინდა მოციქული პავლე წერს: „სადა იგი განმრავლდა ცოდვა, მუნ უფროისად გარდაემატა მადლი“. და აი, ჩვენ დროს, როცა ანტიქრისტეს ძალები მთელ საქართველოში უდიდესი ენერგიით ებრძვიან მართლმადიდებლობას და ზნეობას, როცა ღმრთისაგან კურთხეულ ივერიაში, დემოკრატიული ლოზუნგებით შეარაღებული ეს ეშმაკები, ეროვნულ ტრადიციებს ანადგურებენ და დაცემული დასავლეთის გახრწნილ სულს ნერგავენ; როცა ეკლესიის ზოგიერთი მსახურიც კი, მაძღარი და მშვიდი ცხოვრების გამო უღმერთო ხელისუფლებასთან აშკარა კომპრომისზე წავიდა და უარი თქვა ემხილებინა მმართველი რეჟიმის მიერ ქვეყანაში დატრიალებული უსჯულოებანი და დანაშაულობანი,. ღმერთმა გამოგვიცხადა ჭეშმარიტად საოცარი და წმინდა პიროვნება – მამა გიორგი ბასილაძე!

აქ საჭიროა პატრიარქ სერგის (1944წ) სიტყვა გავიხსენოთ: „მსგავსად იმისა, თუ როგორ უგზავნის უფალი ძველ ისრაელს მსაჯულებს და წინასწარმეტყველებს, ასევე თავის ეკლესიაშიც განსაკუთრებულ მომენტებში, იგი, როგორც წესი, განსაკუთრებულად მადლმოსილ ადამიანებს, სულით და რწმენით ძლიერ, თითქოსდა წინასწარმეტყველებს აგზავნის. მათ ოფიციალური თანამდებობა არ გააჩნიათ და საერთო მასიდან თავისი საქმით წარმოჩინდებიან და სხვათა წინამძღოლნი ხდებიან, მაგრამ ამ წინამძღოლობას ოფიციალური ხასიათი არა აქვს და ეკლესიაში დაწესებული თანამდებობა არ არის, და ყოველთვის როდი ეტევა სამსახურებრივ ფარგლებში.

როგორც ყოველი წინასწარმეტყველება – იგი ასეთი ადამიანების პირადი ღვაწლია, ღმერთისა და ეკლესიისადმი მათი პირადი, შინაგანი, სულიერი ინიციატივისა და მოშურნეობის საქმეა.

და მართლაც, სასულიერო და საერო პირთა დიდმა ნაწილმა გულწრფელი სიყვარულით და იმედით აღიქვა მამა გიორგის ქადაგებანი და წინასწარმეტყველებანი, რა თქმა უნდა, იმ შეგნებით, რომ სულიწმინდის ასეთი ნიჭები ადამიანს მხოლოდ განსაკუთრებული ღვთის წყალობით ეძლევა – თავისი მაღალზნეობრივი და მოღვაწეობრივი ცხოვრების გამო.

მაგრამ, ისეთებიც გამოჩნდნენ, ვინც ამ გამოჩენილი მამისა და მქადაგებლის ასპარეზზე გამოსვლა უნდობლად და აშკარა ზიზღით მიიღო. აქ ყოველივე შეერწყა – შური, სიავე, შიში ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე და უმეცრება. უნდობლობას და ეჭვს ხშირად ის ადამიანები გამოთქვამენ (მათ შორის ეკლესიის მსახურნიც), ვინც ბიბლია და წმინდა მამათა გარდამოცემა არ იცის და მართლმადიდებლურ მისტიკაზე წარმოდგენა არა აქვს. მათ შორის არიან ფარისევლები, ზილოტები, პიროვნებები, რომელთათვისაც ეკლესია საამქროა, სადაც შეიძლება ურცხვად და უსინდისოდ ივაჭრო სიწმინდეებითა და ხალხს წესების შესრულებაში ტყავი გააძრო. ამ უკანონობისა და ფანტასტიკური ფასების შესახებ, თბილისში დიდი ხანია ყველამ იცის. თავისთავად, ამ კატეგორიის ადამიანებისათვის მამა გიორგის ქადაგებანი და მხილებანი ყელში გაჩხერილი ძვალივითაა.

ისმება კითხვა: სად იყვნენ ეს ადამიანები მაშინ, როცა ჯერ კიდევ ახლახან ყველა ტელეარხი რეკლამას უწევდა ცნობილი „პოლიტმკითხავის“ ცრუწინასწარმეტყველებებს, რომლითაც ის დიდხანს უბნევდა თავგზას ჩვენს თანამემამულეებს, ყველა კიოსკი კი მისი ჟურნალებითაა აჭრელებული. ამ დროს, არავინ არსად, მათ შორის არც ეკლესიის მსახურები არ გამოთქვამდნენ კრიტიკას ამ ქალის მიმართ, რადგან ეს არც თუ ისე უხიფათო იყო, იმდენად, რამდენადაც იგი მმართველი რეჟიმის წისქვილზე ასხამდა წყალს.

მაგრამ, მადლობა ღმერთს, თვით მორწმუნე ერმა გამოააშკარავა ეს ცრუწინასწარმეტყველი. მაშ რა აშფოთებს უკმაყოფილებას? რატომაა, რომ XX საუკუნის ბერძენი და რუსი ბერების ასკეტურ გამოცდილებას, მადლმოსილ ნიჭებს და წინასწარმეტყველებებს უპირობოდ ვენდობით, ხოლო მამა გიორგი ბასილაძის მოვლენას ეჭვით ვუყურებთ?!.. რატომ არის უმადლესი სიწმინდისა და სასწაულმოქმედებების გამოვლენა შესაძლებელი რუსეთსა და საბერძნეთში და შეუძლებელია საქართველოში – ღმრთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში? ვინც ამ ჭეშმარიტად ანტიქრისტესეულ დროში ეკლესიაში გამოვლენილ სულიწმინდის მადლს ამცირებს, იგი ადრე თუ გვიან, თვითონ იქნება დამცირებული.

არაკეთილმოსურნენი ასევე შეშფოთებული არიან, მამა გიორგის სივრცესა და დროში გადაადგილების ფაქტების გამო.

ცნობილია უამრავი მაგალითი ამ თემაზე ბიბლიიდან და წმიდანთა ცხოვრებიდან. სივრცეში გადაადგილდებოდნენ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველნი, მოციქულები (მაგალითად მოციქულ ფილიპეს შემთხვევა) და ახალი აღთქმის მართლები. ვიმეორებთ, ასეთი აურაცხელი ფაქტია აღწერილი „ლავსაიკონში“, ძველ პატერიკსა და სულიერ მდელოში: აბბა მაკარი დიდის სკიტიდან კალათები მიჰქონდა , დადალა, დაჯდა ლოცვა დაიწყო: „ღმერთო, შენ უწყი, რომ ძალა აღარ მაქვს“ და უმალ იქ გაჩნდება, სადაც უნდა მისულიყო.

აბბა ბესარიონმა, როცა დასჭირდა, ილოცა და ფეხით გაიარა მდინარეზე. ამის შემყურე აბბა დულამ ქედი მოიდრიკა და ჰკითხა: „როგორ გრძნობდი ფეხებს, როცა წყალზე მიდიოდი?“ მაშინ უპასუხა ბერმა: „წყალს ქუსლებამდე ვგრძნობდი, მას ქვემოთ მყარი იყოო“.

როგორი მკრეხელობაა იმაზე ფიქრი, რომ სასწაული მხოლოდ ძველად ხდებოდა, ახლა კი არა.

აქ გვახსენდება ცნობილი შემთხვევა წმ. პაისი ათონელთან დაკავშირებით. მასთან ერთხელ ერთი უნივერსიტეტის პროფესორი მივიდა და უთხრა: „მაპატიე, მამაო, მე ღმერთი არ მწამს“. მაშინ წმინდანმა მას უთხრა: „თქვენ ხვლიკზე უგუნური ხართ“. მეცნიერი განაწყენდა, მაგრამ მამა პაისმა იქვე მოძრომიალე ხვლიკი მოიხმო და ჰკითხა: „თქვი, ხვლიკო, ღმერთი არსებობს?“ მაშინ ხვლიკი უკანა ფეხებზე დადგა და თავი დააქნია. ატირებული მეცნიერი წმინდანისაგან რწმენითა და ლმობიერებით წავიდა.

ძვირფასო დებო და ძმებო, ნება მომეცით კადნიერებით გითხრათ, რომ მამა გიორგი ბასილაძე სიწმინდით არაფრით ჩამოუვარდება წმინდა პაისის. სიწმინდე სიყვარულისგან განუყოფელია. სიყვარულის ფალსიფიცირება შეუძლებელია. სინათლითა და სიხარულით ივსება სული, როცა ის მამა გიორგისთან შეხვედრებისა და საუბრების შესახებ წიგნს კითხულობს.

წმინდა მართლმადიდებელ ეკლესიაში ჭეშმარიტი სასწაულები ყოველდღიურად აღესრულება: ეს ხატების მირონდენა იქნება, განკურნების უამრავი შემთხვევა, თუ წინასწარმეტყველებანი. ამის შესახებ კარგად თქვა ერთმა ძველმა ბერმა: „ღმერთის ეკლესიაში სასწაულები ხდება მწვალებლობათა სწრაფი გავრცელების აღსაკვეცად და სუსტ სულთა სარწმუნოებაში განსამტკიცებლად და თვით ცრუმოძღვართა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოსაქცევად, თუკი ისინი ამას მოინდომებენ.

ამიტომ, წმიდანები და მოწამენი ქრისტიანობის პირველი ხანებიდან დღემდე ყოველდღიურად აღასრულებენ სასწაულებს წმინდა მართლმადიდებელ ეკლესიაში“.

მამა გიორგის გამოჩენაც ცოცხალი ნიშანია ეკლესიის ცხოვრებაში, რომელსაც ზოგადეკლესიური მნიშვნელობა აქვს. იგი ერთდროულად არის მართლმადიდებელი წმინდანისა და ჭეშმარიტი ქართველის ნიმუში, რამეთუ ეს ორი ცნება ერთურთისაგან განუყოფელია.

ვმადლობთ ღმერთსა, საქართველოში არასოდეს ყოფილა ნაკლოვანება სულიერ მწყემსთა და ღირსეულ ეპისკოპოსთა, რომელნიც ამა სოფლის სულს ფეხს არ უწყობენ.

მათ, ვინც მამა გიორგის უსამართლოდ განიკითხავს, ერთ მაგალითს შევახსენებთ წმიდანთა ცხოვრებიდან. იყო ერთი წმიდა მამა, რომელიც ცოდვილთა სიბრალულის გამო, ხშირად დადიოდა ქალაქის მეძავთა სახლებში, ევედრებოდა მათ, რომ მეტად აღარ შეეცოდათ და რაც ჰქონდა, მთელ ფულს მათ აძლევდა. მრავალი მოქალაქე ხედავდა მას, ამ სახლებში შესულს და ძლიერ განიკითხავდა; როცა კვდებოდა, მან ირგვლივ შეკრებილთ უკანასკნელი სიტყვით მიმართა: „ალექსანდრიელო კაცებო, ნუ განიკითხავთ დროზე ადრე...“

ღმერთმა დალოცოს და გაახაროს ჩვენი საყვარელი მოძღვარი – მამა გიორგი ბასილაძე და მასთან ერთად ყველა გულანთებული მამულიშვილი!

მამა გიორგი (პავლოვი),
გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის მღვდელი

წიგნიდან „ფეხითმოსიარულე“
ტ.II 2009წ

ჯემალ ამბარდნიშვილის მონატრება



ჩემო ჯემალ, ჩემო ერთგულო მეუღლევ, მამა და პაპა. შენნაირი გამორჩეული და უჩვეულოდ მოსიყვარულე მამა, პაპა და მეუღლე ალბათ იშვიათია. შენთვის და განსაკუთრებით ჩემთვის 2007 წელი იყო უბედურების წელი. ჩვენმა საყვარელმა შვილმა მოგვიღო ბოლო. 6 წელი გავიდა უკვე, რაც შენ და შენმა შვილმა დათომ დამტოვეთ. რატომ იყავი ასეთი ძალიან მგრძნობიარე, რატომ არ იფიქრე შენს მეორე შვილზე, რომელიც უქმაგოდ დარჩა? 5 აპრილი ჩვენი შვილის გარდაცვალების დღეა, 2 ივნისი კი – შენი.

ხიდი, რომელიც ცხოვრებაში გვაქვს გასავლელი, შენთვის და შენი შვილისათვის ძალიან მოკლე აღმოჩნდა. თუ სიკვდილი გეწერა, ნეტავ შვილზე ადრე შენ წასულიყავი იმ ქვეყნად, რომ ასეთი მწარე არ ყოფილიყო შენი წასვლა.

ნათელში იყავი, ჩემო ძვირფასო, ჩემო ერთგულო, საყვარელო მეუღლევ. შენ დავიწყება არ გიწერია, იმდენი ამაგი გაქვს, შვილებზე, შვილიშვილებზე და ოჯახზე. ნეტავი დაგანახა შენი შვილიშვილები როგორი სიყვარულით გიხსენებენ, როგორ დაგტრიალებენ ხოლმე საფლავზე, როგორ კოცნიან შენს სურათს. მოვალთ შენს სამუდამო სამყოფელთან 2 ივნისს და ვილოცებთ თქვენთვის, აგინებთ სანთლებს და შევამკობთ ყვავილებით თქვენს საფლავს, ჩვენო დაუვიწყარო პაპიკო ჯემალი და დათო, ჩემო შვილო, ჩემო ვაჟკაცო!

თქვენი უბედური დედა და მეუღლე

ხსოვნა

გია (გიორგი მარტიაშვილი)



მე პოეტი არ ვარ. ეს ლექსები სიმწარემ დამაწერინა. ამით თითქოს ჩემს გიორგის – გიას ველაპარაკები და ვგრძნობ, რომ ჩემთან ახლოს არის.

დედა – გალინა

დილა თენდება უშენოდ,
მერე დამდება უშენოდ, გია
როდის მოხვალ და მოგეფერები
ამ ჩემს სიცოცხლეს სიმწარე ჰქვია.
***
ამ ქვეყნიდან არაფერი არ მიმაქვს
სიტკბოების, სიყვარულის მეტი,
შეგვიკრავენ რვაფიცრიან სასახლეს,
სადაც უნდათ, იქ გვითხრიან სამარეს.

აქცია, რომელიც უნდა გაგრძელდეს და მასში ყველა უნდა ჩავერთოთ

21 მაისს საქართველოს პარლამენტის წევრის, საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის თინათინ ხიდაშელის საგარეჯოს ბიუროს თანამშრომლებმა – ბიუროს უფროსმა ცინარი კონიაშვილმა, იურისტმა ლალი გრატიაშვილმა, სპეციალისტმა მარიამ კვლიშვილმა პატარძეულში მცხოვრებ 56 წლის ივანე გაბროშვილს ინვალიდის ეტლი გადასცეს.

დეპუტატის ბიუროში ივანე გაბროშვილის მეზობლების ერთობლივი წერილი შემოვიდა, – მითხრა ცინარი კონიაშვილმა, – წერილში ქალბატონ თინათინ ხიდაშელს დახმარებას სთხოვდნენ ინვალიდი მეზობლისა, რომელსაც წლებია გადაადგილება უჭირს, ოჯახში არავინ ჰყავს და მხოლოდ მეზობლების და კეთილი ადამიანების დახმარების იმედით ცხოვრობს. აღნიშნულ წერილს გაეცნო ქალბატონი თინათინი და გამოსავალიც მალე მონახა, ინვალიდისთვის გადასაადგილებელი ეტლი შეეძინეთ და აი, დღეს უნდა მივიტანოთო.

ბიუროს თანამშრომლებს მეც და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის პრესსამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სპეციალისტი ნინო გვაგვალიაც გავყევით.

ნანახმა ყოველნაირ მოლოდინს გადააჭარბა. 56 წლის ინსულტგადატანილი, მარტოდმარტო სოციალური დახმარებისა, (თუმცა ამ ორიოდე დღის წინ მას სოციალური მუშაკი ჰყოლია „სტუმრად“.), და ოჯახის წევრების გარეშე დარჩენილი ცხოვრობს. მაგრამ ამას თუ ცხოვრება ჰქვია?! სამი საწოლი, ლოგინი (სახედაკარგული), თეთრეულის გარეშე, სამი დამტვრეული სკამი, ერთი ჭურჭლის კარადა (ოდესდაც თავის მოვალეობას რომ ასრულებდა), მეზობლის ნაჩუქარი ტელევიზორი, ერთი ძველი, მონგრეული ღუმელი, ძველისძველი ჩემოდანი, რომელშიც ერთადერთი საგარეო ტანსაცმელი უწყვია, ფანჯრები უფარდებო, იატაკი – ოდესდაც ქვაფენილით, ახლა წვიმის წყლის გუბეებით, კედლები ადგილ-ადგილ გადმოწეული, ჭერი ჩამოწეული, ერთსართულიანი სახლის კრამიტიანი სახურავი ჩამოწეულ-ჩამოწეწილი...

დეპუტატის ბიუროს თანამშრომლების მიერ მიტანილმა ეტლმა ერთობ გაახალისა ვანო, გაჭირვებით გადაუხადა მადლობა მათ და ქალბატონ თინათინ ხიდაშელს და გოგონების და მეზობლის დახმარებით ძლივს მოთავსდა ეტლში...

21 მაისს იმედის სხივმა შეანათა მის პატარა, ჭერდაძრულ სახლში, იმედი მასზე მზრუნველი ერთადერთი დის ვარდიკოს გარდაცვალების შემდეგ ჩაქრა... ახლა კი ჭურჭლის კარადის თავზე შემორჩენილი მშობლების – ქეთევანისა და იოსების სურათების, ერთგული ძაღლის გარდა იმედის ნაპერწკალიც გაჩნდა – ცინარი, ლალი და მაცაცო დახმარებას დაჰპირდნენ.

უკან დაბრუნებულები ხმას ვეღარ ვიღებდით, დამშიდობებისას თითქოს ერთმანეთს მივეცით პირობა – რაიმე ფორმით დავეხმაროთ. ამ დახმარებაში გავაერთიანოთ საგარეჯოელები, ჩვენი ნაცნობ-მეგობრები. იქვე, ეზოშივე დასმული კითხვა თითოეულს მიგვყვება – ნუთუ შეიძლება XXI საუკუნეში ადამიანი, ისიც ინვალიდი, სერიოზული ავადმყოფი ასეთ გაუსაძლის პირობებში ცხოვრობდეს?!

ხსოვნის საღამო

22 მაისს, საგარეჯოს კულტურის სახლში საქართველოს ქალთა საბჭოსა და საგარეჯოს ქალთა რაიონული საბჭოს ორგანიზებით მუნიციპალიტეტიდან დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის უკვდავსაყოფი საქველმოქმედო ღონისძიება ჩატარდა, სახელწოდებით „დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდისო“ ღონისძიება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს 2008 წლის ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნას მიეძღვნა.

ღონისძიებას საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატი, მუნიციპალიტეტის გამგებელი და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახური

ჩვენი თანამემამულე – მხატვარი ნინო ჯანგულაშვილი

ფერების ჯადოქარი

24 მაისს საგარეჯოს ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში ჩვენი თანამემამულის, პოეტ თეიმურაზ ჯანგულაშვილის ქალიშვილის – მხატვარ ნინო ჯანგულაშვილის ნახატები გამოიფინა. ქ-ნი ნინოს ნახატები საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში არაერთხელ მასპინძლობდა ხატვის მოყვარულთ და დამთვალიერებლებს. ეს გამოფენა კი ნინომ მამის – თეიმურაზ ჯანგულაშვილის ხსოვნას მიუძღვნა. ლამაზი, საოცრად ცოცხალი, მაგრამ სინაზეშეპარული ფერები ზამთრის პირქუშ დღესაც კი რაღაცნაირი კეთილი, თბილი ფერებით დაგანახებს და სულს ისე გაგითბობს, მაისის მზიან დღეშიც მოგანატრებს ზამთრის იმ თოვლიან დღეს. მზერა ნახატიდან ნახატზე გადაგაქვს, თითქოს ეს შენი ქუჩა, შენი მეზობლის პატარა, კულულებიანი გოგონაა, ჩიტუნების ჟივჟივიც კი წამოეპარება ყურთასმენას და მაგიდაზე ეულად დარჩენილი ჩაის სერვიზიც იმ წუთას ჩაის მოგანდომებს. ამიტომაც უწოდებენ ნინო ჯანგულაშვილს „ფერების ჯადოქარს“.

მაისის იმ ლამაზ დღეს ქ-ნი ნინოს გამოფენას უამრავი სტუმარი ჰყავდა. აქ ყველა მოვიდა, საბავშვო ბაღის პედაგოგი-აღსაზრდელები, სკოლების პედაგოგები, საჯარო სამსახურის მოსამსახურენი, კულტურის მუშაკები, პოეტ თეიმაურაზ ჯანგულაშვილის ერთგული მეგობრები, მხატვრები, გამოფენის დიასახლისები კი საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორ თამარ ჯაბადართან ერთად მოსწავლეები სალომე ჯაბადარი და მარიამ დურგლიშვილიც იყვნენ. მოწვეულ სტუმრებს თავიანთი ხელოვნება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მხატვრული კითხვისა და საბავშვო თეატრის წრის წევრებმა და ნინოწმინდის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ჟუჟუნა კონიაშვილი) აჩვენეს.

ომგამოვლილი პოეტი თეიმურაზ ჯანგულაშვილი გაიხსენეს (რომელსაც ამ დღეს 90 წელი შეუსრულდებოდა) გამომცემლობა „ნაკადულის“ მთავარმა მხატვარმა გურამ ღლონტმა, საგარეჯოს აიპ კულტურის გაერთიანების დირექტორმა ბესო ღვინაშვილმა, მსახიობმა ნათელა დიღმელაშვილმა. ლექსები წაიკითხა პედაგოგმა ციცინო ქარსაულიძემ.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: garejismacne1@hotmail.com

რედაქტორი:
თინათინ ილაური

გარეჯის მაცნე

პატრიარქის მოწოდების კვალდაკვალ

„ეროვნებისათვის სქესის წინასწარ შეფუთვინება უნდა აიკრძალოს“...

„აბორტი არის მშობლების გადაწყვეტილებითა და მონდომებით სრულიად უსუსური, უდანაშაულო არსების საზარელი მკვლელობა. ამ მკვლელობის უშუალო თანამონაწილეა ექიმიც... ქრისტეს ეკლესია მას (აბორტს) განიხილავდა და განიხილავს, როგორც უმძიმეს მომაკვდინებელ ცოდვას“... (საადგომო ეპისტოლე“, 2013 წელი).

აბორტი ნებადართულად ბოლშევიკურმა მთავრობამ 1920 წელს გამოაცხადა. 1936-1955 წლებში კი აკრძალული იყო. მას შემდეგ ისევ ლეგალიზებული გახდა. ულტრაბგერითმა გამოკვლევებმა, რომელმაც შესაძლებელი გახადა სქესის გარჩევა, აბორტის რაოდენობა გაზარდა. თუმცა, როგორც საგარეჯოს შპს კლინიკა „Life“-ის ექიმმა რადიოლოგმა, ექოსკოპიის სპეციალისტმა **გია ჩალათაშვილმა** გვითხრა:

– ექიმი რადიოლოგი სქესს არ ადგენს მანამდე, სანამ დედას აბორტის გაკეთება შეუძლია. მხოლოდ გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ შეიძლება ექიმმა უთხრას დაინტერესებულ პირს, თუმცა ესეც არ შეიძლება. არავინ არის დაზღვეული თუნდაც 7-8 თვის ორსულმა მშობლისთვის არასასურველი სქესის მქონე ბავშვი შემდგომი გართულებების ფასად სხვადასხვა გზით მოიცილოს. კახეთის მხარეში ულტრაბგერითი გამოკვლევა პირველად 1987 წელს საგარეჯოში დაინერგა. იმ დღიდან მე მიხდებოდა მუშაობა ექოსკოპიის კაბინეტში. სქესის გამჟღავნება შეიძლება მომხდარიყო ჩემგან მშობლისათვის იმ შემთხვევაში, თუ დაეთხვევოდა მისთვის სასურველი სქესი, ისიც განსაკუთრებული სიფრთხილით. ახლახანს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტისათვის მიცემულ ინტერვიუში კარგად თქვა: „მომხრე ვიქნებოდი ერთადერთი აკრძალვისა (ნაგულისხმევია აბორტი) – ეს არის მშობლებისათვის სქესის წინასწარ შეტყობინება. ძალიან ხშირ შემთხვევაში აბორტი ისეთ დროს კეთდება, როცა ოჯახი ბიჭს ელოდება, არ უნდა ჰყავდეს გოგო და, როცა სქესს შეიტყობს, სქესის გამო ნაყოფის მოცილება ხდება. ჩემი აზრით, სანამ დემოგრაფიული მდგომარეობა ასეთ დღეშია, ურიგო არ იქნებოდა ეს აკრძალულიყო“. იუსტიციის მინისტრის ნათქვამს მეც ვეთანხმები, თუმცა დღეს არიან ექიმები, ვინც შეიძლება ფულის ინტერესით აკრძალვის მიუხედავად განაგრძოს არასასურველი საქმიანობა.

– ბატონო გია, თქვენ თქვენი საქმიანობა ექიმობით დაიწყეთ, შემდეგ იყავით იურისტი, ერთხანს ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგებელიც და ბოლოს დეპუტატობის კანდიდატიც, ახლა კი კლინიკაში გამოჩნდით...

– დიახ, 2005 წლის შემდეგ ექიმობასთან აღარ მქონია შეხება იურიდიულად, პრაქტიკულად – კი. ვიყავი კომპანია ჯი-პი-აი-ს კონსულტანტი. ყველა საკითხის განხილვაზე ვიღებდი მონაწილეობას. არჩევნებში დამარცხების შემდეგ გავიარე გარკვეული ეტაპები სხვადასხვა კლინიკებში და ავიმაღლე კვალიფიკაცია ექიმი რადიოლოგის სტატუსისათვის. პარალელურად ვთანამშრომლობდი და დღესაც ვაგრძელებ თანამშრომლობას თბილისის წამყვან კლინიკებში – არჩილ ახმეტელის ინტერკლინიკასა და დავით ტატიშვილის კლინიკაში. თებერვლიდან საგარეჯოს შპს „Life“-ის ექიმი რადიოლოგი ვარ. ამ კლინიკაში ყოველი კვირის ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს ვიღებ პაციენტებს, ვაკეთებ ულტრაბგერითი დიაგნოსტიკით არსებულ ყველა სამედიცინო გამოკვლევას. სასიამოვნო და სასიხარულოა, რომ კლინიკაში გამოკვლევაზე იმატა ორსულთა რაოდენობამ, რომელსაც II, III, IV შვილის ყოლის სურვილი აქვთ. მოგეხსენებათ, რამხელა მნიშვნელობა აქვს ჩვენი პატრიარქის თითოეულ მოწოდებას. ვიმედოვნებ, რომ ახლახანს საადგომო ეპისტოლეში გამოთქმული მისი მოწოდება მთელი ერისათვის კანონის, მოწოდების სახეს მიიღებს.